პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა
2 აპრილი
1939 წ.
№ 75 (5475)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

პარტიული პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი ამოცანა

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიიღეს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი პროგრამა. საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ ნაჩვენები გზა ეს არის პირდაპირი გზა კომუნიზმის მოკაშკაშე მწვერვალებისაკენ. სრულდება ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვა, თქმული 1920 წლის ოქტომბერში: „თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, ნახავს კიდეც კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონვე იქნება ამ საზოგადოების მშენებელი“.

ამხანაგ სტალინის მოხსენება, რომელსაც მთელი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებითა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ, წარმოადგენს კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტს, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მის ახალ საფეხურზე აყვანას.

თავის შესანიშნავ მოხსენებაში ამხანაგმა მოლოტოვმა მოხაზა სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის დიადი პერსპექტივა, დასახა პრაქტიკული ამოცანები ამ გეგმის განსახორციელებლად.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენება განსაკუთრებული სიძლიერითა და სიცხადით აიარაღებს ჩვენს პარტიას მძლავრი ორგანიზაციული იარაღით განვითარების ახალ პირობებთან შეფარდებით.

ყველა ეს მოხსენება და ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამსჭვალულია შინაგანი ერთიანობით: ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ განვახორციელოთ პროგრესიული კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება — კომუნიზმი!

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის იდეა მილიონობით ადამიანებს დაეუფლა. და როცა იდეა მასებს ეუფლება — იგი მატერიალურ ძალად იქცევა; ჩვენს ქვეყანაში ორი ძალა—ხალხი და კომუნიზმი—შეერთდა ერთ ძლიერ, უძლეველ ძალად; ბოლშევიკთა პარტიის საქმე იქცა მთელი მშრომელთა ხალხის საქმედ. ამიტომ იყო, რომ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის მიმდინარეობის დღეები გადაიქცა საყოველთაო-სახალხო აღტყინების დღეებად, რომ ასე მძლავრად გაიშალა ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელი, მუშა, გლეხი თუ ინტელიგენტი, ცდილობდა სახელოვანი გამარჯვებებით გამოეხატა თავისი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება ბოლშევიკთა პარტიის XVIII ყრილობისადმი. ეს უდიდესი, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო აღტყინება, რომელიც გამოიწვია პარტიის XVIII ყრილობის მასალების გამოქვეყნებამ, თავდებია იმისა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა განხორციელდება ბრწყინვალედ, რომ ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის წინამძღოლობით მედგრად გასწევს წინ კომუნიზმის სრული გამარჯვების გზით.

მთავარი, საიდანაც უნდა დაიწყოს ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, მდგომარეობს იმაში, რომ ყრილობის ეს გადაწყვეტილებები გავაცნოთ მთელ მასას, მოვაწყოთ მათი ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა.

ამჟამად მთელი სიგრძე-სიგანით არის დაყენებული პარტიული პროპაგანდის გაშლის ამოცანა, ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით შეიარაღების ამოცანა.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა: „აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით,—რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება“.

ამხანაგ სტალინის მოხსენება, ყრილობის მთელი მასალები წარმოადგენენ მარქსისტულ-ლენინური აზროვნების დაუშრეტელ წყაროს, ჩვენი კადრების თეორიული დონის ამაღლების მძლავრ საშუალებას. მთელი პარტიული პროპაგანდა უნდა დაუქვემდებარდეს ყრილობის მასალების მასებისათვის ფართოდ გაცნობისა და შესწავლის ამოცანას. ამ საქმეში არ არის საჭირო ველოდოთ რაიმე დირექტივებს და მითითებებს; როგორც ყოველთვის, საჭიროა მეტი მოფიქრება და ინიციატივა.

უნდა აღინიშნოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის საქმიანი წამოწყება. რაიკომი ატარებს ყრილობის გადაწყვეტილებებზე ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ჩატარდა პირველი ლექცია სახელმწიფოს შესახებ. ასეთივე ლექციები სახელმწიფოს შესახებ ჩატარდება რაიონის ყველა წარმოება-დაწესებულებაში.

რაიკომმა შეიმუშავა ფართო გეგმა ინტელიგენციის ჩაბმისა ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში. საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მთელი თავის ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან, გლეხობასთან,—ეს არის მილიონობით პროპაგანდისტი და აგიტატორი. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დიადი არმია და ჩააბან იგი ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში.

საოლქო და საქალაქო გაზეთებმა, პარტიულმა კაბინეტებმა უნდა მოაწყონ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, კონსულტაცია ყრილობის გადაწყვეტილებათა საკითხებზე.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდამ ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო გეგმების შესრულებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს, რომ თვითეულმა მუშაკმა, საბჭოთა კავშირის თვითეულმა მოქალაქემ გააკეთოს თავისთვის დასკვნა, იცოდეს, თვითეულმა რა და როგორ გააკეთოს.

ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივიტანოთ მასების შეგნებამდე ბოლშევიკთა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ნათელი აზრები, დავრაზმოთ მასები მესამე სტალინური ხუთწლედის ბრწყინვალედ შესრულებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის!

მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის 20 წლისთავის დღესასწაული

წითელი დედაქალაქის საბჭოთა საზოგადოებრიობამ 31 მარტს სიხარულითა და ზეიმით იდღესასწაულა ოქტომბრის რევოლუციის მიერ წარმოშობილი ერთერთი პირველი ნაციონალური თეატრის — მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის 20 წლისათვის იუბილე. ჩვენი დროის ერთერთი ყველაზე საინტერესო თეატრის იუბილეზე მოვიდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მწერლები, უხუცესი ორდენოსანი არტისტები, პოეტები, მხატვრები, მოსკოვის უდიდესი ქარხნების დელეგაციები, ლენინის სახელობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო - პოლიტიკური აკადემიის მსმენელები, უკრაინისა და ბელორუსიის ხელოვნების დარგში მომუშავე ინტელიგენციის წარმომადგენლები და მოსკოვის თეატრების კოლექტივები. სცენაზე თავი მოიყარა სახელმწიფო ებრაული თეატრის მთელმა კოლექტივმა. მათთან ერთად არიან მწერლები: ა. ნ. ტოლსტოი, ა. ა. ფადეევი, ბელორუსიის პოეტი იანკა კუპალა, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. მ. მოსკვინი, ლ. მ. ლეონიდოვი და სხვ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მ. ბ. ხრაპჩენკოს მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ საინტერესო და შინაარსიანი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო ებრაული თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი, რსფსრ-ის სახალხო არტისტი ს. მ. მიხოელსი.

ყველა მისალმებაში წითელ ზოლად იყო გატარებული სახელმწიფო ებრაული თეატრის უდიდეს მიღწევათა ერთსულოვანი აღიარება, თეატრისა, რომელმაც თავის შემოქმედებით საქმიანობაში ასახა ჩვენი სოციალისტური ეპოქის მთელი სიდიადე. სახელმწიფო ებრაული თეატრი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ცოცხალი განსახიერებაა. თეატრი მრავალფეროვანი და სრულხმოვანია. მას დაუშრეტელი შესაძლებლობა მოეპოვება რეალისტური ხელოვნების მწვერვალების მისაღწევად.

დარბაზის მქუხარე ოვაციით მიღებულ იქნა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).

ს. მიხოელსს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 31 მარტის ბრძანებულებით მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს სოლომონ მიხეილის-ძე მიხოელსს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდება. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

საბჭოთა სათეატრო ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

სოლომონ მიხეილის-ძე **მიხოელსი** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ბენიამინ ლევის-ძე **ზუსკინი** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.
2. ლევ მიხეილის-ძე **პულვერი** — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
3. მიხეილ დავითის-ძე **შტეიმანი** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ნაუმ აბრამის-ძე **ბელოლოვსკი** — თეატრის დირექტორი.
2. მოსე ისააკის-ძე **გოლდბლატი** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.
3. იეხეზკელ მოსეს-ძე **დობრუშინი** —დრამატურგი.
4. არონ ზაქარიას-ძე **ნამიოტი**—განათების ნაწილის გამგე.
5. ლიუბოვ იოსების-ასული **რომი** — თეატრის მსახიობი.
6. სარა დავითის-ასული **როტბაუმი** — რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.
7. ალექსანდრე თევდორეს-ძე **ხტეპანოვი** — თეატრის სადამდგმელო ნაწილის გამგე.
8. ალექსანდრე გრიგოლის-ძე **ტიშლერი** — თეატრის მხატვარი.
9. დანიელ მოსეს-ძე **ფინკელკრაუტი** — თეატრის მსახიობი.
10. დავით პერეცის-ძე **ფინკელშტეინი** — თეატრის პარტორგი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. მოსე ისააკის-ძე **ნეი** — თეატრის მსახიობი.
2. იაკობ ისააკის-ძე **ნეი** — თეატრის დირექტორის თანაშემწე.
3. ილია სამოელის-ძე **როგალერი** — თეატრის მსახიობი.
4. ტევიე იოსების-ძე **ხაზაკი** — თეატრის მსახიობი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი,
1939 წლის 31 მარტი.

მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის მუშაკებისათვის სახელწოდებათა მინიჭება

რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 31 მარტის ბრძანებულებით რსფსრ-ის **სახალხო არტისტის** სახელწოდება მიენიჭა: ბენიამინ ლევის-ძე **ზუსკინს**, ლევ მიხეილის-ძე **პულვერს**.

რსფსრ-ის **დამსახურებული არტისტის** სახელწოდება მიენიჭა: ესთერ იოსების-ასულს **კარჩმერს**, ისააკ მოსეს-ძე **კროლს**, ლია მოსეს-ასულს **როზინას**, ლუბა იოსების-ასულს **რომს**, დანიელ მოსეს-ძე **ფინკელკრაუტს**. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

31 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებისა და ლენინის ორდენის მინიჭების შესახებ მიიღო მაიორმა ამხ. ნ. ს. გერასიმოვმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია შპოლიანსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით გამოჩენილი წარმატებებისათვის, ეძლევა არტელის თავმჯდომარეს ორდენოსან ამხ. ს. მ. კახნოს.

ორდენები და მედლები ეძლევა უკრაინის სსრ-ის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდ ჯგუფს, რომელიც დაჯილდოებულია სოფლის მეურნეობაში გამოჩენილი წარმატებებისათვის და განსაკუთრებით კი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ორდენები მიიღეს აგრეთვე: მთქმელმა ამხ. მ. ს. კრიუკოვამ, „სურანუგოლის“ № 10 შახტის მნგრეველმა ამხ. პ. ს. ჩირპამ და № 26 ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ა. ა. ზავიტაევმა.

ორდენებისა და მედლების ჩაბარების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. მ. ი. კალინინი, რომელმაც წარმატება უსურვა დაჯილდოებულთ მათს მუშაობაში. (საკდესი).

მოსკოვის პარტიული აქტივი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის პარტიული აქტივი, შეიკრიბა რა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიული XVIII ყრილობის შედეგების განსახილველად, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობამ შეაჯამა სოციალიზმისათვის ჩვენი ხალხის მიერ გაწეული სახელოვანი ბრძოლის შედეგები და დასახა კომუნიზმის გამარჯვებისაკენ შემდგომი წინსვლის პროგრამა.

პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში თქვენ უდიდესი სიღრმითა და გამჭრიახობით გაუკეთეთ ანალიზი ჩვენს მიერ განვლილ ისტორიულ გზას და ბრძნულად გააშუქეთ ჩვენი მოძრაობის პერსპექტივები.

თქვენი მოხსენება წარმოადგენს მთელი ჩვენი ქვეყნის მოქმედების საბრძოლო პროგრამას მისი განვითარების მთელი ისტორიული ხანისათვის. იგი აიარაღებს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, მთელს ჩვენს კადრებს, მთელს საბჭოთა ხალხს მძლავრი იარაღით სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში.

თქვენ გენიალური სიბრძნით დაამუშავეთ და ახლებურად დააყენეთ საკითხი სახელმწიფოს შესახებ სოციალიზმიდან კომუნიზმში ჩვენი ქვეყნის გადასვლის ეპოქაში.

გადაგვიშალეთ რა ჩვენი ქვეყნის მიღწევებისა და პარტიის გენერალური ხაზის გამარჯვების უდიდესი სურათი, თქვენ დაგვისახეთ ახალი გრანდიოზული ამოცანა— ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება გარწმუნებთ თქვენ, რომ მოსკოველი ბოლშევიკები აღჭურვილი არიან მტკიცე ნებისყოფით და მთელ თავის ძალას მოახმარებენ იმას, რათა მთლიანად და რაც შეიძლება მალე შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც XVIII ყრილობის მიერ დასმულია პარტიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გვახსოვს რა თქვენი მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, ჩვენ ულმობელად გავანადგურებთ და მოვსპობთ ფაშიზმის საზიზღარ აგენტებს და ამით კიდევ უფრო განვამტკიცებთ და გავამაგრებთ ჩვენი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას. ჩვენ გვესმის მთელი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში და მთელ ძალას მოვახმარებთ იმას, რომ იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი წითელი არმია, რომ უფრო ძლიერი და უფრო უძლეველი იყოს საბჭოების დიადი ქვეყანა.

ჩვენ უძლეველი ვართ იმიტომ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა ქვეყნის ხალხები ისე, როგორც არასოდეს, დარაზმული არიან ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და ერთიანი არიან მისწრაფებაში გააცამტვერონ ყველანი, ვინც კი მოინდომებს გადაგვეღობოს გზაზე.

ჩვენ უძლეველი ვართ იმიტომ, რომ ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია და მუდმივად იძენს სულ ახალ-ახალ ძალებს ხალხის მასების წიაღიდან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალაში, ჩვენი პარტიის ძალაში, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაში, და ამიტომ პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასმული ამოცანები გადაჭრილი იქნება, ვინაიდან პარტიისა და საბჭოთა ხალხის სათავეში დგას დიდი სტალინი.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ შეიარაღებული ვართ მარქსიზმ - ლენინიზმის ყოვლისშძლე იარაღით, რომლის ბადალი არ არის და არც ყოფილა კაცობრიობის მთელს ისტორიაში. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშით კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

გაუმარჯოს უძლეველ კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მშრომელი კაცობრიობის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

კრებული—„ვ. ი. ლენინი. რვეულები იმპერიალიზმის შესახებ“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კრებული—„ვ. ი. ლენინი. რვეულები იმპერიალიზმის შესახებ“, დამზადებული საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ.

კრებულში შეტანილია ლენინის ამონაწერები, კონსპექტები, შენიშვნები, რომლებიც შეადგენენ ლენინის 20 რვეულს იმპერიალიზმის შესახებ. ეს მასალები გამოქვეყნებული იყო ლენინის კრებულებში XXII. XXVII, XXVIII და XXIX.

„იმპერიალიზმის შესახებ რვეულების“ გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა გიგანტური მუშაობა გასწია ლენინმა, როცა იგი ამზადებდა სახელგანთქმულ წიგნს — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. ლენინს გამოქვეყნებული აქვს ასეული სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა ენაზე. (წიგნები, ბროშურები, სტატისტიკური კრებულები, სტატიები).

ლენინის მთელ რიგ მრავალრიცხოვან ამონაწერებსა და შენიშვნებში ასახულია რუსეთის ბურჟუაზიისა და ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკა.

ლენინის „რვეულები იმპერიალიზმის შესახებ“ დიდ როლს შეასრულებენ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების თეორიული დონის ამაღლებაში და დიდ დახმარებას გაუწევენ მეცნიერ მუშაკთა კადრებს. (საკდესი).

ლენინგრადის პარტიული აქტივი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ლენინგრადის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, მხურვალე, სიყვარულითა და ერთგულებით ალსავსე, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, ჩვენს ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს.

მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიულ XVIII ყრილობის მუშაობას, ყრილობისა, რომელმაც შეაჯამა სოციალიზმის იმ გრანდიოზულ გამარჯვებათა შედეგები, რაც მოპოვებულია მეორე ხუთწლედის განმავლობაში საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, იგი ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში შევა, როგორც უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ყრილობა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიდებული გამარჯვებანი ყველა მშრომელში დიდი სიხარულის, სიამაყის, ღრმა მორალური კმაყოფილების გრძნობას იწვევენ და საბჭოთა ხალხს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებენ.

კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნე ადამიანთა ოცნებიდან, მარქს - ენგელსის მეცნიერული თეორიიდან კომუნიზმის რეალურ სინამდვილედ გადაქცევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლენინისა და სტალინის გენიის მეოხებით, ჩვენი ქვეყნისადმი თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, ამხანაგო სტალინ, იმის მეოხებით, რომ თქვენ ყოველდღე ზრუნავთ პარტიაზე, ყველა მშრომელზე, სოციალისტური სამშობლოს აყვავებასა და ძლიერებაზე.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი და თქვენი მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ბოლშევიკური გამჭრიახობისა და სიბრძნის უბადლო ნიმუშებს წარმოადგენენ, ისინი მშრომელებს ახალ ენერგიასა და სიმხნეს ჰმატებენ, მილიონობით ადამიანებს ამობილიზებენ დიადი საქმეებისათვის კომუნიზმის სადიდებლად და კიდევ უფრო ანმტკიცებენ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა პატრიოტიზმს.

თქვენი მოხსენება, ამხანაგო სტალინ, წარმოადგენს ახალ უძვირფასეს საუნჯეს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების შესახებ მარქსიზმ - ლენინიზმის მოძღვრების ახალ განვითარებას, იგი აიარაღებს მთელ ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ახალი მძლავრი თეორიული იარაღით კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, მთელი სიგრძე-სიგანით დააყენეთ ძირითადი ამოცანა— უახლოესი ორი-სამი ხუთწლედის განმავლობაში ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ გრანდიოზულ გეგმაში მკაფიოდ არის ასახული თქვენი სტალინური ზრუნვა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების განვითარებაზე, ზრუნვა სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მესამე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულება დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის გადაქცევას პროდუქტების სიუხვის ქვეყნად და მოგვიახლოებს კომუნიზმის ძირითადი პრინციპის განხორციელებას — თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით.

ჩვენ ვიცით, ამხანაგო სტალინ, რომ ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია სიძნელეებთან. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ თქვენს მითითებებს, რომ კომუნიზმს ვაშენებთ ჩვენდამი მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული ჩვენს ძალებში. გამარჯვების გასაღები ჩვენს ხელთაა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაში კაპიტალიზმთან მისი ისტორიული შეჯიბრებისას.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ გვიჩვენა ბოლშევიკური რიგების უმაგალითო ერთიანობა და ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მონოლიტური დარაზმულობა საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თქვენს გარშემო, ამხანაგო სტალინ. სოციალიზმის დიად გამარჯვებებს პარტიამ მიაღწია იმიტომ, რომ იგი ლენინ-სტალინის გზით მიდიოდა, აცამტვერებდა რა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა და ყოველგვარ მტრებს, ანმტკიცებდა რა თავის ორგანიზაციულ ძლიერებას.

საქ. კ. პ. (ბ) ახალ წესდებაში, რომელიც ყრილობამ მიიღო, თავისი განსახიერება ჰპოვა ბოლშევიზმის ლენინურ-სტალინურმა ორგანიზაციულმა პრინციპებმა და გამოხატულია თქვენი ზრუნვა პარტიის წევრებზე, ამხანაგო სტალინ.

პარტია, მძლავრი ორგანიზაციული იარაღით შეიარაღებული, კიდევ უფრო აამაღლებს პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობას, თავისი წევრების თეორიულ დონესა და შემოქმედებით აქტივობას და ბოლშევიკური დროშით გაემართება კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ლენინგრადელი ბოლშევიკები თქვენი ერთგული და სახელოვანი თანამებრძოლის ამხანაგ ჟდანოვის მეთაურობით მთელ თავიანთ ძალასა და უნარს, მთელს თავიანთ გამოცდილებას მოახმარებენ იმას, რომ პირველ რიგებში იყვნენ საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ლენინგრადელი ბოლშევიკები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ბურჯი.

გაუმარჯოს უძლეველ, ერთიან და მონოლიტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმის ჩვენს დიად მესაჭეს, მეგობარსა და მასწავლებელს — ამხანაგ სტალინს!

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის საომარი მასალების სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. **ი. პ. სერგეევი** და წევრები: ამხ. **ა. ი. მიხაილოვი** — სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, **მ. ხ. ინიაშკინი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ა. ქ. ხოდიაკოვი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ს. ქ. კონჩევი**, **ნ. მ. ხრენკოვი**, **ხ. პ. გორინი** და **ვ. ი. შიბანოვი**. (საკდესი).

მივაწოდოთ სოციალისტურ მრეწველობას მუშახელი!

კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა წერილი

მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა კოლმეურნეობების წინაშე დააყენა ამოცანა—დახმარება გაეწიოს ჩვენს მზარდ მრეწველობას მუშახელით.

„ახლა საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, რომ მივმართოთ კოლმეურნეობებს — პატივი დასდონ ჩვენს თხოვნას და მოგვცენ მზარდი მრეწველობისათვის ყოველწლივ თუნდაც დაახლოებით მილიონნახევარი ახალგაზრდა კოლმეურნე“.

ჩვენი საყვარელი ბელადის ეს მოწოდება გამოხმაურებას ჰპოვებს თვითეული კოლმეურნის გულში.

სოციალისტურმა მრეწველობამ ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში პირველხარისხოვანი, მძლავრი მანქანებით მოამარაგა ჩვენი კოლმეურნეობები. მათი საშუალებით კოლმეურნეობები უფრო სწრაფად და უკეთესად ასრულებენ სამუშაოს. წლითიწლობით ზრდიან მოსავლიანობას, ჰქმნიან შეძლებულ, სამურ და კულტურულ ცხოვრებას.

შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეობებში ყველა მარკის 145 ტრაქტორი, 59 კომბაინი და 43 ავტომანქანა მუშაობს. უკვე შარშან ისეთი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, როგორიც არის ხვნა, კულტივაცია, თესვა, მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას აღება და სხვ. მთლიანად მტს-ების მანქანებით სრულდებოდა. ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი წლის წინათ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვა 45-55 დღეს გრძელდებოდა. შარშან კი მტს-ების დახმარებით თესვა ხუთ დღეში დამთავრდა. რამდენჯერმე შემცირდა მოსავლის აღების, ხვნის და მზრალად ნახნავის დამუშავების და საშემოდგომო თესვის ვადები.

1933-1934 წლებში რაიონის კოლმეურნეობები თავიანთ ყანებიდან 118-125 ათას ცენტნერ მარცვლეულს იღებდნენ, ხოლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მარცვლეულის საერთო მოსავალმა 351-370 ათას ცენტნერს მიაღწია.

კოლმეურნეები ახლა შეძლებულად ცხოვრობენ.

ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია ჩვენს კოლმეურნეობებში ანთავისუფლებს ბევრ მუშახელს, რომელიც საკმარისად ვერ არის გამოყენებული არტელის მეურნეობაში.

აი, მაგალითად, ეფრემოვის სახელობის კოლმეურნეობა. 611 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შარშან 21 კაცი სრულიად არ იღებდა მონაწილეობას არტელის მუშაობაში. წლის განმავლობაში 10 შრომისუნარიანმა მამაკაცმა და 40 ქალმა თვითეულმა 50 შრომადღეზე ნაკლები გამოიმუშავა. საშუალოდ კი არტელში შრომისუნარიან ერთ კაცზე სულ 277 შრომადღე მოდის. მარტო ეს ციფრი იმას მოწმობს, რომ აქ სრულიად არასაკმარისად არის გამოყენებული შრომითი რეზერვები.

ასე შეუწყნარებლად ფლანგავენ მუშახელს სხვა კოლმეურნეობებიც. 357 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან არტელში „პუტ კ სოციალიზმუ“ 6 კაცი სრულებით არ იღებდა მონაწილეობას მუშაობაში, ხოლო 49 კოლმეურნე და 48 კოლმეურნე ქალმა წლის განმავლობაში თვითეულმა 50 შრომადღეზე ნაკლები გამოიმუშავა. საშუალო გამომუშავება ერთ შრომისუნარიანზე ამ არტელში 272 შრომადღეს არ აღემატებოდა.

დიმიტროვის სახელობის არტელში, სადაც საშუალო წლიური გამომუშავება ერთ შრომისუნარიანზე 271 შრომადღეს შეადგენს, 389 შრომისუნარიან კოლმეურნე და კოლმეურნე ქალიდან 50 აგრეთვე თვითეულმა 50-ზე ნაკლები შრომადღე გამოიმუშავა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ რიცხვში ჩათვლილია ტრაქტორისტების შრომადღეებიც.

ჩვენი რაიონის 17 კოლმეურნეობიდან მთელი გასული წლის განმავლობაში 600-ზე მეტმა კოლმეურნე და კოლმეურნე ქალმა თვითეულმა 50-ზე ნაკლები შრომადღე გამოიმუშავა, მრავალ შემთხვევაში ეს იმიტომ მოხდა, რომ კოლმეურნეობებში ყოველთვის როდია სამუშაო.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს შეუძლიათ და კიდევაც სისტემატურად უნდა უშვებდნენ კოლმეურნეებს სამუშაოდ სამრეწველო საწარმოებში, და პირველ რიგში იმათ უნდა უშვებდნენ, რომლებიც მცირედ არიან გამოყენებული საკოლმეურნეო მუშაობაში.

ვასრულებთ რა ამხანაგ სტალინის მითითებას, ჩვენ უკვე ახლა გადავწყვიტეთ გადავახალისოთ ჩვენი სამუშაო გეგმები იმ ვარაუდით, რომ სწორად მოვაწყოთ შრომა, მივაღწიოთ თვითეული კოლმეურნის სამუშაო დღის შემჭიდროებას და რაც შეიძლება მეტი მუშაკი გავანთავისუფლოთ მრეწველობისათვის. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ხშირად სამი-ოთხი კაცი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულება ორ კოლმეურნესაც შეუძლია.

შრომის სწორი ორგანიზაცია, მემინდვრეობის ბრიგადებში მუდმივი რგოლების შექმნა—აი რა მოგვცემს საშუალებას ბევრად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და კიდევ უფრო მეტად გავანთავისუფლოთ მუშახელი.

უკვე შარშან ჩვენს კოლმეურნეობებში დაახლოებით 200 მუდმივი რგოლი მუშაობდა. შრომის ორგანიზაციის რგოლურმა სისტემამ საშუალება მოგვცა შარშანდელთან შედარებით ერთიორად და ერთისამად შეგვემცირებინა მემინდვრეობის ძირითად, გადამწყვეტ სამუშაოთა ვადები, და, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, არანაკლები მოსავალი აგვეღო, ვიდრე მოსავლიან 1937 წელს.

მიმდინარე წელს ყველა ჩვენი კოლმეურნეობა ბრიგადის შიგნით შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე გადადის. რაიონის კოლმეურნეობებში უკვე შექმნილია დაახლოებით 300 მუდმივი რგოლი. მათ ზამთრის განმავლობაში მომზადებულნი რგოლის უფროსები ხელმძღვანელობენ.

წინათ ჩვენი ბრიგადები, რომლებშიც 50-70 კოლმეურნეა, ცუდად ასრულებდნენ სამუშაოს. ნორმები უმეტეს შემთხვევაში არ სრულდებოდა, ზარმაცები და არაკეთილსინდისიერი კოლმეურნეები წარმოების საუკეთესო მუშაკთა ზურგს უკან იმალებოდნენ. მუშაობის რგოლური ორგანიზაციის დროს ბრიგადებში თვითეულ კოლმეურნეს კონკრეტული უბანი აქვს მიჩნეული. მისი მუშაობა თვალწინაა. რგოლების არსებობისას ძლიერდება პერსონალური პასუხისმგებლობა. ახლა ბრიგადები წარმატებით ასრულებენ წინანდელზე უფრო მეტი მოცულობის სამუშაოებს. ბრიგადებში ზედმეტი მუშაკებიც კი არიან ხოლმე.

მტკიცედ მოვკიდეთ ხელი აგრეთვე შრომის დისციპლინის განმტკიცებას ჩვენს კოლმეურნეობებში. არტელის იმ წევრებთან, რომელნიც თავიანთი პირადი მეურნეობით გატაცებულნი, წესდებას არღვევენ და ნაკლებად მონაწილეობენ კოლმეურნეობის შრომით ცხოვრებაში, დიდ მუშაობას ვატარებთ, მათ ყოფაქცევას საკოლმეურნეო კრებებზე ვიხილავთ. ეს საქმეს შველის. წესდების დამრღვევნი ემორჩილებიან კოლმეურნეთა კრების ნებისყოფას, ასწორებენ თავიანთ დანაშაულს არტელის წინაშე.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს განვამტკიცოთ დისციპლინა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და მივცეთ მრეწველობას განთავისუფლებული მუშები.

ჩვენი რაიონის მახლობლად მსხვილი სამრეწველო ცენტრები არ მოიპოვება. ამიტომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი კოლმეურნეები დღევანდლამდე მრეწველობაში სამუშაოდ არ მიდიოდნენ.

ჩვენ გვაქვს სურვილები მრეწველობის მუშაკთა მიმართ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა საწარმოებისათვის ადამიანთა შერჩევა ორგანიზებულად — კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კრებების საშუალებით ხდებოდეს. საჭიროა აგრეთვე, რათა კოლმეურნეებმა და კოლმეურნე-ქალებმა იცოდნენ, თუ რომელ საწარმოში იმუშავებენ ისინი. იმ ახალი ძალებისათვის, რომელნიც კოლმეურნეობიდან მიდიან მრეწველობაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გულთბილი, ამხანაგური მიღება და ზრუნვა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ კოლმეურნეობებიდან მისულ მუშაკთა დენადობა და საწარმოებიდან წასვლა. ხოლო საკოლმეურნეო კრებებზე იმის განხილვა, თუ სახელდობრ ვინ უნდა გაიგზავნოს მრეწველობაში, ხელს შეუწყობს სამედო, კეთილსინდისიერ მუშაკთა შერჩევას.

ჩვენი რაიონის ბევრი კოლმეურნეობა უკვე გამოეხმაურა კოლმეურნეთა საუკეთესო მეგობრის — ამხანაგ სტალინის მოწოდებას.

მაგალითად, კოლმეურნეობა „კრასნოარმეეცმა“, დიმიტროვის სახელობისა და ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებმა ამხანაგ სტალინის მოხსენების განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე გამოიტანეს გადაწყვეტილება ოც-ოცი კაცი გაეგზავნათ სამუშაოდ მრეწველობაში. ვოროშილოვის სახელობის არტელმა 25 კაცი გამოჰყო.

მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობას პატივი დასდონ ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის თხოვნას და უახლოეს თვეებშივე მისცენ მუშა-ხელი მზარდ სოციალისტურ მრეწველობას. უზრუნველვჰყოთ მრეწველობა საჭირო მუშა-ხელით, რომელიც ახლა ჭარბად მოიპოვება კოლმეურნეობებში. ამით ჩვენ მივაღწევთ მრეწველობის შემდგომ ზრდას, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, იმ საქონლისა, რომლის მოთხოვნილებაც კოლმეურნე გლეხობაში წლითი-წლობით იზრდება.

ჩვენ მივმართავთ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს: ნუ დაუცდით, სანამ ჩვენგან მუშაკები სამუშაოს მისაღებად მოვიდოდნენ, მოაწყეთ მათი შეგროვება, ჩვენ კი ამაში დაგეხმარებით. გააცანით ჩვენს კოლმეურნეებს წარმოება, დაეხმარეთ მათ აირჩიონ და მიიღონ საჭირო სპეციალობა, გამოიჩინეთ ზრუნვა მათს საყოფაცხოვრებო პირობებზე.

შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეებმა, რომელნიც შარშან უხვი მოსავლისათვის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად გამოვიდნენ, ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი. ეხმაურებიან რა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებას იმის შესახებ, რომ ჩვენს მზარდ სოციალისტურ მრეწველობას დახმარება გავუწიოთ მუშახელის მიწოდებით, შჩერბინსკელი კოლმეურნეები ამ თავის დაპირებასაც ღირსეულად შეასრულებენ!

წერილს ხელი მოაწერა კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის 1500 კოლმეურნემ.

„პრავდა“, 30 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის სანიმუშოდ ჩატარება მაღალი მოსავლის საწინდარია

გამოვასწოროთ ჩამორჩენა

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები გასულ წელთან შედარებით უფრო მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო თესვას.

საგაზაფხულო თესვაში მოწინავეთა რიგებში არიან სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ვ. ერანგია), ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდა“ (თავმჯდომარე — ვ. როგავა), „დამკვრელი“ (თავმჯდომარე — ა. როგავა), ჯიხასკარის კოლმეურნეობა „გმ. ჩხორია“ (თავმჯდომარე— ვ. თოლორაია), ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე—პ. როგავა) და სხვ.

მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ასე როდია საქმე. სადაც სათანადოდ არ შეაფასეს საგაზაფხულო თესვის სერიოზული და პასუხსაგები ამოცანა და თვითდინებას დაეყრდნენ, იქ სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. განსაკუთრებით ჩამორჩნენ თესვაში აბასთუმნის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ო. ჯაბუა), ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ა. გრიგოლია), სოფ. კიროვის 5 დეკემბრის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ჩამორჩენას ხსნიან „ობიექტური“ მიზეზებით. ნამდვილი მიზეზი კი შრომის მოუწესრიგებლობაა. სოფელ აბასთუმნის და სოფ. კიროვის კოლმეურნეობათა ზოგიერთი წევრი ხშირად არ გამოდის სამუშაოზე, გამგეობა კი საჭირო ზომებს არ ღებულობს ზარმაცი კოლმეურნეების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქსოფლმომარაგებამ“ ვერ უზრუნველჰყო კოლმეურნეობები გუთნებით. აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებს სჭირდებათ 200 ფარცხი, „საქსოფლმომარაგებამ“ გამოგზავნა მხოლოდ 4 ფარცხი. ხშირად გზავნიან ისეთ იარაღ-მანქანებს, რომლებიც ზუგდიდის რაიონისათვის გამოუსადეგარია. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინათ „საქსოფლმომარაგებიდან“ გამოგზავნეს ბამბის სათესები, ხოლო ბამბა ზუგდიდის რაიონში სრულებით არ ითესება. ასეთ უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

თესვის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მაღალხარისხოვან თესლზე. მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამ მხრივ ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. საკმაო თესლი არა აქვს კახათის კომინტერნის სახელობის, სოფელ ჭკადუაშის და სხვა კოლმეურნეობებს. ჯიხასკარის და აბასთუმნის კოლმეურნეობებს თესლი სათანადოდ არ გადაურჩევიათ, გამოყოფილი თესლი დაბალი ხარისხისაა.

ზოგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშა-პირუტყვის მოვლას. მუშა-პირუტყვი არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. ნარაზენის და ჯიხასკარის კოლმეურნეობებში პირუტყვს სამუშაოზე გაჰყავთ საკვების მიუცემლად.

სევ. ებრალიძე

რატომ აჭიანურებენ შაქრის ჭარხლის თესვას

(გორი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

უკანასკნელ კვირაში გორში საუცხოო ამინდები დადგა. რაიონს შაქრის ჭარხლის თესვა 25 მარტიდან უნდა დაეწყო, მაგრამ რატომღაც ხელახალი დირექტივის მოლოდინში არიან და თესვას აჭიანურებენ.

გორის რაიაღმასკომის, მიწგანის, გორისა და ახალსოფლის მტს-ების მუშაკთა მომიზეზება, თითქოს ხელსაყრელი ამინდები არ იყოს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მზიანმა ამინდებმა, ამასთან ნიადაგში — ტენის საკმაო რაოდენობამ ყველა პირობა შექმნა თესვის დასაჩქარებლად, თუნდაც სოფელ ხიდისთავის, ტინის-ხიდის, ვარიანის, ქვ. ნიქოზის და სხვ. კოლმეურნეობებში, მაგრამ აქ მაინც ერთ ადგილს სტკეპნიან. ფუჭია უამინდობაზე ლაპარაკით თვითდამშვიდება. რატომ არ იწყებენ შაქრის ჭარხლის თესვას?

იმიტომ, რომ მთელი რიგი წინასამუშაოები არ არის დამთავრებული. ეს მოწმობს, რომ რაიონში შაქრის ჭარხლის თესვას სერიოზულად არ ხელმძღვანელობენ. შაქრის ჭარხალი 1420 ჰექტარზე უნდა დაითესოს, ჯერ კი ერთი ჰექტარიც არ დათესილა.

საჭარხლე ნაკვეთების აოშვა და სასუქის შეტანა ჭიანურდება იმის გამო, რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა გააჭიანურეს „საქსოფლმომარაგების“ გორის განყოფილებიდან მინერალური სასუქების გატანა. მხოლოდ ნაწილობრივ გაიტანეს სასუქები სოფელ არაშენდის კოლმეურნეობა „ალორძინების წყარის“, წინაუბნის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“, ქვემოხვითის კოლმეურნეობა „სიხარულით სოციალიზმისაკენ“-ის ხელმძღვანელებმა. გორის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს (ემსახურება 52 კოლმეურნეობას) „სოფლმომარაგებიდან“ ჯერ კიდევ არ გაუტანიათ 241 ცენტნერი სასუქი.

მსგავსი მდგომარეობაა ახალსოფლის მტს-ის მომსახურების ზოგ კოლმეურნეობაშიც (სოფელ ახრისი — კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“, ჩარხის უბანი—კოლმეურნეობა „სოფლის თავი“, სვენეთი — კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ და კოლმეურნეობა „შრომა“), ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ქ. ბერუაშვილმა, მ. ბიბილაშვილმა, გოგაურმა და სვიანაძემ დღემდე არ უზრუნველჰყვეს სასუქების მთლიანად გატანა.

მინერალური სასუქების გატანაზე არ ზრუნავს სოფელ პატარა მეჯვრისხევის კოლმეურნეობა „მომავლის“ თავმჯდომარე შ. გოგიაშვილი. კოლმეურნეობა შაქრის ჭარხალს სთესავს 20 ჰექტარზე. ამჟამად მხოლოდ 5 ჰექტარია აოშილი, რომელშიაც სასუქი შეიტანეს. „15 ჰექტარის აოშვა ფერხდება იმით, რომ „საქსოფლმომარაგების“ გორის განყოფილებამ სასუქი არ მომცა“, — განაცხადა გოგიაშვილმა. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, გოგიაშვილმა 34 ცენტნერი სასუქი გაიტანა ნაცვლად 103 ცენტნერისა.

29 მარტისათვის მთელ რიგ კოლმეურნეობებს მეთესლეობის ბაზიდან წაღებული არ ჰქონდათ შაქრის ჭარხლის თესლი. მაგალითად, თესლი წაუღებელი იყო თერგვისის, დიცის, ჩარხისუბნის, პატარა-მეჯვრისხევის, კვარხითის, გალავნის, ურბნისის და უკანა-უბნის კოლმეურნეობების მიერ.

ახალსოფლის მტს-ის მუშაკებმა რიხით განაცხადეს, რომ სოფელ ნაწრეტის კოლმეურნეობაში ჭარხლის თესვა 26 მარტს დაიწყოო, შემოწმებით კი გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობას ჭარხლის თესლი 28 მარტისთვისაც არ ჰქონდა წაღებული მეთესლეობის ბაზიდან.

რაიონის 100-ზე მეტი კოლმეურნეობა დასთესავს წელს შაქრის ჭარხალს, სათესი მანქანები კი მხოლოდ 37 არის, რაც არ კმარა. რაიმიწგანისა და მტს-ის ხელმძღვანელებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ და სათესი მანქანები დროულად მოემარაგებინათ. მოხდა კი პირიქით.

თესვის დაწყების განკარგულების მოლოდინში 3 სათესი მანქანა გაჩერებულია ქვ. ნიქოზის ოთხსაგი კოლმეურნეობაში.

შაქრის ჭარხლის თესვის დამთავრების ვადა 10 აპრილია. თესვის გაჭიანურება კი დანაშაულია.

ს. ყურაშვილი.

თესლს ახლა ეძებენ

(ხაშური, საკ. კორესპონდენტისაგან)

საგაზაფხულო კულტურების თესვა უკვე გაჩაღდა. სოფლის მეურნეობის მოწინავენი იძლევიან მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს. ისინი პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

აგარის მტს-ის სტახანოველი ბრიგადირი ილო ჯავახიშვილი წინასაყრილობო შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. სამუშაო დღეში იგი სამ ჰექტარზე მეტს ხნავს. ასეთსავე კარგ მაგალითებს იძლევიან სატრაქტორო ბრიგადირები გ. გელაშვილი, შ. ჯავახიშვილი. ბრიგადებში განმტკიცებულია შრომის დისციპლინა, გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად სატრაქტორო ბრიგადები შეუფერხებლივ მუშაობენ.

საგაზაფხულო თესვაში მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს კარტოფილის და ლობიოს თესლის უქონლობა. რაიონის კოლმეურნეობებს 150 ტონა კარტოფილის თესლი აკლიათ. სოფ. ვაყის, დირბის, წრომის კოლმეურნეობებს თესლი სრულიად არ მოეპოვებათ. სოფ. დირბის პირველი უბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მაჭარაძე) სათანადო კრედიტი მიიღო, მაგრამ თესლის მომარაგებისათვის დღემდე თავი არ შეუწუხებია. ეს გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

რაიმიწგანი მხოლოდ ახლა — გაცხარებული თესვის პერიოდში დაფაცურდა თესლის შესაძენად. ამდენ ხანს კი ზომებს არ ღებულობდა, ალბათ მოელოდა, რომ ეს საქმე თავისთავად გაკეთდებოდა.

ამნაირი მუშაობით თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება.

ვ. ხეთაგური

წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გრძელდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. საკოლმეურნეო ბრიგადები, ჯგუფები და ცალკე კოლმეურნეები, რომლებსაც სოცშეჯიბრებაში ერთმანეთი ჰყავთ გამოწვეული, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ყრილობისათვის მზადებისა და ყრილობის მიმდინარეობის დღეებში კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 7,1 ჰექტარის ნაცვლად ციტრუსებისათვის ნიადაგი 9,6 ჰექტარზე მოამზადა, 27 მარტს დაიწყო ციტრუსების რგვა. პირველ ორ დღეში მანდარინი და ლიმონი აქ 7,5 ჰექტარზე დარგეს.

კიდევ უფრო კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა საკოლმეურნეო ბრიგადებმა. მაგალითად, ზახარ სიდოროპულოს ბრიგადამ, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი, გეგმით გათვალისწინებული 1,5 ჰექტარის ნაცვლად ციტრუსების გასაშენებლად ნიადაგი 4 ჰექტარზე მოამზადა და 29 მარტისათვის მთელ ამ ფართობზე ციტრუსების რგვაც დაამთავრა.

დიმიტრი კიპსელიდის ბრიგადამ, რომელსაც ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა სრულიად არ ჰქონდა მიცემული, მოამზადა 1 ჰექტარი ფართობი და 28 მარტისათვის რგვაც დაამთავრა.

კოლმეურნეობაში დღითიდღე იზრდება სტახანოველთა რიგები. ოსმან ჩიკვაიძეს, რომელიც კოლმეურნეობაში ამ რამდენიმე დღის წინათ მიიღეს, ნორმით გათვალისწინებული 15 მეტრის ნაცვლად 20-25 გრძივი მეტრი ტერასი გაჰყავს. კოლმეურნე სულეიმან ნაკაშიძემ 21 მარტს 200 ძირის ნაცვლად ხარისხის მტკიცედ დაცვით 320 ძირი ციტრუსი დარგო. ს. ნაკაშიძეს ციტრუსოვანთა პლანტაციებში დღიურად 25-30 გრძივი მეტრი ტერასი გაჰყავს და ნორმას 160-200 პროცენტით ასრულებს. ოლია სოფიანიდიმ, რომელიც სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული, 25 მარტს მძიმედ გასხლა 120 ჩაის ბუჩქი და ნორმა 150 პროცენტით შეასრულა.

სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე 18 დღით ადრე დაამთავრა ჩაის პლანტაციების მსუბუქი და ღრმა გადაბარვა და მათში ფოსფოროვანი სასუქების შეტანა. კოლმეურნეები დიდი ხალისით მუშაობენ, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. ჩაისა და ციტრუსების დარგვში მოპოვებული საუკეთესო წარმატებებისათვის როგორც მთლიანად ეს კოლმეურნეობა, ისე ამ კოლმეურნეობის ექვსივე ბრიგადა წარდგენილი არიან სრულიად-საკავშირო სას.-სამ. გამოფენის კანდიდატებად.

ტ. აცანელი

როდის შეიძენენ კარტოფილის თესლს?

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონში ჯერ კიდევ 26 მარტისათვის დათესილი იყო სიმინდი—91,5 ჰექტარი, პომიდორი—48,5 ჰექტარი, ხახვი—18 ჰექტარი, სხვადასხვა ბოსტნეული—12,4 ჰექტარი. დროულად შეაკეთეს იარაღ-მანქანები, რაიონი უზრუნველყოფილია როგორც მარცვლეულის ისე ბოსტნეულის შემოწმებული და მაღალხარისხოვანი თესლით.

მაგრამ თესვისათვის მზადებაში ვხვდებით ცალკეულ ნაკლოვანებებსაც. ქუთაისის რაიონს სჭირდება 1.040 ცენტნერი კარტოფილის თესლი, რაც ბორჯომის რაიონიდან უნდა შემოეტანათ. რაიმიწგანს კი დღემდე ვერ მოუხერხებია აღნიშნული თესლის მომარაგება.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვი ნაკლებად არის მომარაგებული საგაზაფხულო საკვებით. უმრავლეს კოლმეურნეობებში არ გააჩნიათ კონცენტრირებული საკვები, თივა და ჩალაც კი. ხოლო მისი მომარაგებისათვის დღემდე გადადგმული არ არის რაიმე სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯები.

კოლმეურნეობებში შემოწმდა მუშა-პირუტყვის მოვლა-პატრონობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ პირუტყვის ნაწილი დასუსტებული და ცუდად მოვლილია. განსაკუთრებით სოფ. გუმბრისა და კვახჭირის კოლმეურნეობებში.

სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობა „ახალ ნაბიჯში“ (თავმჯდომარე — მ. ალფაიძე) აპრობაციის შედეგად გამოირკვა, რომ სიმინდის თესლი გამოსაცვლელი იყო. მას აქეთ საკმაო დრო გავიდა. თესვა უკვე დაწყებულია და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს თესლი ჯერ კიდევ მთლიანად არ გადაუცვლიათ (დარჩენილია 20 ცენტნერი). როდის ფიქრობენ ამ საქმის გაკეთებას?

ეგ. გვასალია

შეჯიბრების ძალა

მახარაძე, (საქდესი). მახარაძის რაიონში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩაის ახალი პლანტაციებისათვის კოლმეურნეობებში უნდა მომზადდეს 100 ჰექტარი ნიადაგი. პარტიის XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ეს გეგმა მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა 26 მარტისათვის უკვე 103,4 პროც. შეასრულეს.

ნატანების, შრომის, ძიმითის, ნაგომარის და მელექედურის კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ ჩაის თესვას. 28 მარტისათვის რაიონში სულ დათესილი იყო 33 ჰექტარი ჩაი.

ქერის თესვა წითელწყაროს ფ. მახარაძის სახელობის მილიონერ კოლმეურნეობის მინდორზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ბ. ყურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი

მაღალი სტალინური მოსავლისათვის

მესამე სტალინური ხუთწლედი ჩვენს წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს. სიღნაღის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები წარმატებით იბრძვიან ხალხის საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მიერ დასმული ამოცანის შესასრულებლად—ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში 8 მილიარდი ფუთი პურის მიღებისათვის.

ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე აგროწესების მტკიცედ დაცვით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 20.849 ჰექტარისა რაიონში დაითესა 21.006 ჰექტარი შემოდგომის პური და ქერი, თესვა ჩატარდა მხოლოდ კონდიციური და ჯიშიანი თესლით და ფართობის 92 პროცენტზე მწკრივად სათესი მანქანებით. ამავე დროს, მძრალად მოიხნა 8.240 ჰექტარი.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან შემოდგომაზე გვალვების გამო ნათესების განვითარებისათვის არ იყო ხელსაყრელი პირობები, მაინც ნიადაგის წინასწარ საუკეთესოდ დამუშავებისა და თესვის შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარების შედეგად, მიღებულ იქნა ხშირი საუკეთესო ჯეჯილი, რომელიც ახლა ზოგან სიმაღლით 20-30 სანტიმეტრს აღწევს.

მაგრამ კოლმეურნეობები ამ პირველი წარმატებით როდი დაკმაყოფილდნენ. უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გადაიქცა ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა ყოველდღიურ გადაუდებელ ამოცანად,—თავთავს საწინააღმდეგო წამლობა ჩატარდა პირველად 32.000 ჰექტარზე, განმეორებით—18.200-ზე და მესამედ—6.700 ჰექტარზე. ეს მუშაობა ახლაც გრძელდება. გარდა ამისა, ზამთარში ჩატარდა ნათესების გამარგვლა თითქმის ყველგან, სადაც საჭირო იყო (ზოგან ორჯერაც).

რაიონში დროულად გაიშალა მუშაობა მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის,—ნაცვლად 1.770 ცენტნერისა, 20 იანვრისათვის თავთავიანი მარცვლეულის თესლი გამოიყო და დაყვანილ იქნა კონდიციამდე 2658 ცენტნერი, სიმინდი, ნაცვლად 375 ცენტნერისა—393, მზესუმზირა 544 ცენტნერის ნაცვლად—714, კარტოფილი 800 ცენტნერი და სხვ. ამავე ვადისათვის დამთავრდა საკოლმეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი. სამუშაოდ მზად გვქონდა: გუთანი—520, საოში — 58, ფარცხი—1.201, სათესი — 76 და კულტივატორი—225.

საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე 1 თვით ადრე რაიონის მთელი ცოცხალი გამწევი ძალა გადაყვანილ იქნა გაძლიერებულ კვებაზე.

ქერისა და შვრიის ადრეული თესვა ჩვენი რაიონის პირობებშიაც მაღალი მოსავლის ერთერთი მთავარი პირობაა. ამიტომ, როგორც კი მუშაობის პირობები შეიქმნა, 5-დან 15 თებერვლამდე რაიონში ჩატარდა ანეულის ფარცხვა, 7 თებერვლიდანვე დაწყებულ იქნა ქერისა და შვრიისათვის ნიადაგის მომზადება, შემდეგ კი თესვა და 20 მარტისათვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა—ნაცვლად 1000 ჰექტარისა დაითესა 1008 ჰექტარი. ამჟამად კი აღნიშნული კულტურები დათესილია 1.154 ჰექტარზე, ხოლო მზესუმზირა, ნაცვლად 3.400 ჰექტარისა დაითესა 1.746 ჰექტარზე, დარჩენილია უმთავრესად მხოლოდ მაღალი ადგილები.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ რაიონში თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, ალაზნის მტს-ის მომსახურების ზოგიერთი კოლმეურნეობა დღესაც სამარცხვინოდ ჩამორჩება. მაგალითად, ტიბაანის პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ილო მეხრიშვილი) დაუთესავია 8 ჰექტარი, ტიბაანის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — კ. ბოლოაშვილი)—10, ჯუგაანის მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობაში—8 ჰექტარი და სხვ. აქ ალაზნის მტს-ი თავის შესაძლებლობას სწორად ვერ იყენებს, ტრაქტორები ხშირად გამცდარია.

გარდა ამისა, რაიონში დაუთესავია კარტოფილი 7 ჰექტარზე. რაიონს არა აქვს მიწის ვაშლის თესლი 20 ტონა (10 ჰექტარისათვის) და იონჯის თესლი 5 ცენტნერი (25 ჰექტარისათვის). იონჯის თესვის დამთავრების ვადა 20 მარტი იყო, მაგრამ საჭირო თესლი საქმიწსახკომს არ მოუწოდებია.

როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზეც რაიონში ითესება მხოლოდ ჯიშიანი და კონდიციური სათესლე მასალა. ამ წესს რაიონის კოლმეურნეობები მტკიცედ იცავენ.

წელს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებასთან ერთად, გაცხოველებით მიმდინარეობს საშემოდგომო ნათესებში ადგილობრივი სასუქების შეტანა და ჯეჯილის ფარცხვა. მაგალითად, ფარცხვა უკვე ჩატარებულია 4.000 ჰექტარზე, 5 აპრილისათვის კი 17.000 ჰექტარამდე მიაღწევს. სასუქები (გეგმა—35.000 ტონა) საშემოდგომო ხორბლისა და ქერისათვის მინდვრად გატანილია 3.123 ტონა. ამ მხრივ მეტად ჩამორჩენილი არიან ალაზნისა და წნორის მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობები. გარდა ამისა, რაიონში შემოტანილ იქნა 540 ტონა მინერალური სასუქი, რაც, გარდა 120 ტონისა, გატანილია კოლმეურნეობებში.

ცნობილია, რომ აგროწესების კომპლექსურად, ურთიერთ დაკავშირებით, და არა ერთი ღონისძიების მეორისაგან დაშორებით ჩატარებას მოსავლიანობის გადიდებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ სიღნაღის რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება—ნიადაგი შემოდგომიდანვე მუშავდება ანეულად, მასზე შეგვაქვს ნაკელი, შემდეგ ტარდება სამმაგი კულტივაცია. ჯეჯილზე წინასწარ შეგვაქვს ნაკელი, შემდეგ კი ქერქის მოსპობისა და ნიადაგის გაფხვიერების მიზნით მას ვფარცხავთ.

მაღალი სტალინური მოსავლის მიღების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნიადაგში ტენიანობის შენარჩუნებას. ამიტომ სიღნაღის რაიონში, გარდა იმისა, რომ შარშან შემოდგომაზე 8.200 ჰექტარი მძრალად მოიხნა, ახლა საადრეოდ იხვნება ანეულის სახით 3.800 ჰექტარი (უკვე მოხნულია 740 ჰექტარი) და ფარცხვასთან ერთად, რაც შემოდგომის ნათესის 17.000 ჰექტარზე ტარდება და რაც მოსავალს დაახლოებით 15 პროცენტამდე ადიდებს. წელს გეგმას გადამეტებით დაიფარცხება გაზაფხულის ნათესი 5.500 ჰექტარი. ამავე დროს, შემოდგომაზე 4.600 ჰექტარზე ჩავატარეთ ჯვარედინი თესვა, რაც ხელს უწყობს მცენარეთა შორის კვების არეს სწორად განაწილებას, ფართობების უკეთ გამოყენებას და გაადიდებს მოსავალს 15-20 პროცენტამდე.

რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში წინათ მოკალათებული მავნებლები, ხალხის მტრები ხელს უწყობდნენ ნაკვეთების დასარევლიანებას, ნათესებში მავნე ბალახების განვითარებას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, გარდა ჯეჯილების მარგვლისა, ყველა სათოხ კულტურაზე, რომლებიც რაიონში ყველგან მწკრივად ითესება, შემოღებული გვაქვს ნიადაგის დამუშავება კულტივატორით. ამ მიზნით კოლმეურნეობებში უკვე მომზადებულია 225 კულტივატორი, რაც სავსებით საკმარისია რაიონისათვის, რადგან თავის მხრით მტს-ებიც უზრუნველყოფილი არიან საჭირო მანქანებით (გარდა ამისა, „სოფლმომარაგების“ ადგილობრივ საწყობში არის 70 ცალამდე კულტივატორი).

რაიონის ერთერთ მტკივნეულ მხარეს წარმოადგენს ის, რომ თესლბრუნვა კოლმეურნეობებში ჯერჯერობით ყველგან არ ტარდება. ამ ღონისძიების მიღებით ჩვენ შეგვეძლო ნიადაგის სტრუქტურის მოკლე დროში აღდგენა, სარეველების მოსპობა და საერთოდ მოსავლის ერთი-ორად გაზრდა. მაგრამ თესლბრუნვა მხოლოდ წელს იქნა შემოღებული და ისიც მხოლოდ ქვემო-მაჩხაანის მეთესლეობის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“. აქ ყველა კულტურა გაადგილებულია თესლბრუნვის მიხედვით.

მეორე ნაკლი, რაც ჩვენს კოლმეურნეობებში მხოლოდ ახლა სწორდება, ის არის, რომ ბრიგადები ყველგან როდია დაყოფილი ჯგუფებად, არ ხდება შრომის ანაზღაურება ინდივიდუალურად, რგოლობრივ და პრემიების მიცემა მოსავლიანობის მიხედვით. გარდა ამისა, როგორც ამხ. ანდრეევმა სავსებით სწორად აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ჩვენს კოლმეურნეობებშიც შრომის ანაზღაურებისას ყველგან მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეული კოლმეურნეების მიერ მოსავლის მისაღებად გაწეული შრომის ხარისხი. წელს კი ყველა კოლმეურნე თავის კუთვნილს მიიღებს არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მისი მუშაობის ხარისხი, როგორ გაზრდის ის მოსავალს და სხვ. ამჟამად კოლმეურნეობებში უკვე მთავრდება საწარმოო გეგმების და წლიური ხარჯთაღრიცხვების შედგენა, გამომუშავების ნორმების დაზუსტება და ბრიგადების დაკომპლექტება. ბრიგადებზე მიმაგრებულია საწარმოო ნაკვეთები და საშუალებანი.

წელს გეგმის მიხედვით საშემოდგომო ხორბალი ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ უნდა იქნას 12,43 ცენტნერი, ქერი—11,9, გაზაფხულის ნათესი ქერი—11,74, შვრია—10,75 და სხვ. კოლმეურნეობები მტკიცე პირობას იძლევიან შრომის დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებით, მაღალი აგროტექნიკის დანერგვით, ყოველმხრივ საუკეთესო მუშაობით უზრუნველჰყონ საშუალოდ ჰექტარზე 12-13 ცენტნერი მარცვლეულის მიღება, ამის საწინდარს წარმოადგენს წინასაყრილობო შეჯიბრების გაგრძელება. შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება. მაგალითად, ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 16-17 ცენტნერი მარცვლეული (გეგმა 15 ცენტნერია) ასეთსავე უხვ მოსავალს გვპირდებიან ბოდბის 26 კომისრის სახელობის, აგრეთვე ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, ქვემო-მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, წნორის „შრომის იმედი“ და ბევრი სხვ.

სიღნაღის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ საგაზაფხულო კულტურების თესვა ჩაატარონ შემჭიდროებულ ვადებში, მაღალხარისხოვნად. ეს პირველი პირობაა მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებათა ურყევად გატარებით, დიდი სტალინის მითითებათა განუხრელად შესრულებით, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით, სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით, მისი უფრო ფართოდ გაშლით, ჩვენ შევძლებთ მივიღოთ ყველა კულტურის მაღალი სტალინური მოსავალი.

◆

სოციალისტური შეჯიბრება გრძელდება

(მახარაძე, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებმა და დიდი სტალინის გენიალურმა მოხსენებამ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში ახალი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ყრილობისათვის მზადების წინადღეებში დაიწყო, კვლავ გრძელდება. ნატანების კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული ერთი ჰექტარის ნაცვლად, უკვე დასთესა ჩაი 4,5 ჰექტარზე, ციტრუსებისათვის მომზადებულია ნიადაგი 72 ჰექტარზე (გეგმით გათვალისწინებული იყო 66 ჰექტარი). კოლმეურნეობა შეუდგა ციტრუსების რგვას. წითელმთის კოლმეურნეობამ ყველა ძირითადი სამუშაო სუბტროპიკების ხაზით გადაჭარბებით შეასრულა. ამ კოლმეურნეობამ ჩაის ახალი პლანტაცია ნაცვლად ერთი ჰექტარისა 2 ჰექტარზე გააშენა, მანდარინისათვის ნიადაგი მოამზადა 6 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარზე. ტუნგოს ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებულია 300 პროცენტით, დაფნისა — 200 პროცენტით. ასეთსავე სანიმუშო წარმატებებს აღწევენ რაიონის სხვა მოწინავე კოლმეურნეობებიც.

უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა საგაზაფხულო ხვნის ტემპებიც. ტრაქტორისტი კარპეზ მიგრელიშვილი ხვნის დღიურ ნორმებს სისტემატურად აჭარბებს. ტრაქტორისტმა გიორგი მამინაშვილმა ხვნის კალენდარული გეგმა 116 პროცენტით შეასრულა და ცამეტ სამუშაო დღეში 203 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია გააკეთა.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ სტალინის ბრძნულ მოხსენებას, ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საკოლმეურნეო კადრების მომზადება

(წერილი ონის რაიონიდან)

ონის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა თესვისათვის მზადება. საკოლმეურნეო კადრების მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. რაიონი დაყოფილია სამ ზონად (უწერა, ონი და სორი), სადაც გახსნილია საკოლმეურნეო ბრიგადირების მოსამზადებელი კურსები. ამ კურსებზე მეცადინეობს 196 ბრიგადირი, მათი გამოშვება ამ დღეებში მოხდება.

თებერვალში მომზადდა ბრიგადირები, ბეღლის გამგეები და ვაზის მუნობლები — სულ 90 კაცი. გათვალისწინებულია მომზადდეს მეხბორეები, ბუღის მომვლელები, მწველავები — 20 კაცი, საკვების დამსილოსებლები — 15, ვეტფერშლები — 5, მებაღეები — 10.

საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად სოფ. უწერაში, ქვედსა და ცხმორში მოწყობილია აგრო და ზოოვეტწრეები.

ამინდის გაუმჯობესებისთანავე რაიონში ხვნა-თესვა მასობრივად დაიწყება.

ზოოტექნიკოსი პ. ჯაფარიძე.

დავაჩქაროთ ციტრუსთა საგაზაფხულო სამუშაოები

(აჭარა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ციტრუსების გადაბარვისა და სასუქების შეტანის დამთავრების ვადა უკვე იწურება. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში ეს სამუშაო სანახევროდაც არ არის შესრულებული. მიუხედავად ხელსაყრელი ამინდებისა, მახინჯაურის სოფლსაბჭოს კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. მ. ბერიძე) და სოფ. ყარადერეს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. დ. ჩიხურდანიძე) აჭიანურებს ციტრუსების გადაბარვას.

სოფ. ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, (თავმჯდომარე ამხ. შ. ქავთარაძე), რომელმაც 37.715 ძირი ციტრუსოვანი ნარგავის გადაბარვა უნდა ჩაატაროს პირველ აპრილამდე, 28 მარტისათვის მუშაობა არც კი ჰქონდა დაწყებული. ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეობებში „ახალი ცხოვრებასა“ და „გზა სოციალიზმისაკენ“, რომელთა თავმჯდომარეებად ხ. ყარა-ოსმან ოღლი და ზ. ჩხეიძე მუშაობენ.

ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებში ციტრუსოვან მცენარეთა რგვა. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში წელს ციტრუსების ახალი პლანტაციები 358 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა ყოველდღიურად 15 ჰექტარის და უფრო მეტის დარგვა, სინამდვილეში კი 7-8 ჰექტარი ირგვება, ხოლო რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას, მიუხედავად ყოველგვარი შესაძლებლობისა, ციტრუსების რგვა 28 მარტისათვის არ ჰქონდა დაწყებული. სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ხ. ვარშანიძე), სოფ. ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. მ. მაჭუტაძე), თხილნარის სოფლსაბჭოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. ხ. სარიძე), მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. შ. ბარამიძე) ციტრუსოვან მცენარეთა რგვა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოწესრიგებული არ არის შრომა, რის შედეგად საგაზაფხულო სამუშაოებში ისინი სამარცხვინოდ ჩამორჩნენ.

ციტრუსების რგვის დაწყებას ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხელს უშლის ისიც, რომ კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ორგანიული სასუქებით (კარლ მარქსის და გორკის სახელობის კოლმეურნეობები). ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მთელ რიგ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოები ყველა საჭირო ზომას არ ღებულობენ.

ქ. დოგორჯგინიძე

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის შეჯიბრება

კალინინის სახელობის ქარხნის მიმართვა თავდაცვის მრეწველობის ქარხნებისადმი

31 მარტს მოსკოვის კალინინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა მიტინგზე ერთხმად გადასწყვიტა მიჰმართოს თავდაცვის მრეწველობის ყველა ქარხანას მოწოდებით — ჩაებან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თავის მიმართვაში ქარხნის კოლექტივი კისრულობს შემდეგ ვალდებულებას: ძირითად მანქანათა წლიური საწარმოო პროგრამა დაამთავროს 1939 წლის 25 დეკემბრისათვის; პროდუქციის თვითღირებულება 2 პროცენტით შეამციროს გეგმასთან შედარებით, თითო მუშაზე საშუალოდ 25 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება; 1939 წლის განმავლობაში ჩაატაროს მოწყობილობის სამი საზოგადოებრივი დათვალიერება; მოაწყოს სტახანოვური სკოლების მუშაობა, ჩაატაროს ამ სკოლებში სპეციალური მეცადინეობა იმათთან, ვინც ნორმებს ვერ ასრულებს. (საკდესი).

სსრ კავშირის შინსახკომის სანაპირო ჯარის წითელარმიელების მეთაურებისა და პოლიტმუშაკების და სანაპირო რაიონების კოლმეურნეების დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 31 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის ხაზით მთავრობის დავალებათა სანიმუშო თავგანწირული შესრულებისათვის, სსრ კავშირის საზღვრების დაცვის დროს მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის შინსახკომის სანაპირო ჯარის 100 წითელარმიელი, მეთაური და პოლიტმუშაკი და სანაპირო რაიონების 7 კოლმეურნე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: წითელარმიელი ვასილ თედორეს-ძე **ალექსეევი**, უმცროსი მეთაური დიმიტრი ანდრიას-ძე **ბოროვინსკი**, წითელარმიელი დემიან ზაქარიას-ძე **ეფიმცევი**, წითელარმიელი ალექსი ივანეს-ძე **ჟუკოვი**, უმცროსი მეთაური მიხეილ პროკოფის-ძე **კალგანოვი**, წითელარმიელი პავლე ვასილის-ძე **კუდრიაშოვი**, უმცროსი მეთაური ალექსანდრე ტიტეს-ძე **მანკო**, წითელარმიელი ივანე იაგორის-ძე **მიასოედოვი**, წითელარმიელი მიხეილ სერგეის-ძე **პოზდნიაკოვი**, წითელარმიელი კირილე ივანეს-ძე **პიატაკოვი**.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: წითელარმიელი პეტრე თიდორეს-ძე **ვლასოვი**, წითელარმიელი ნიკოლოზ გერასიმეს-ძე **დერიუდმედი**, უმცროსი მეთაური ივანე ივანეს-ძე **ივანოვი**, წითელარმიელი იაკობ მიხეილის-ძე **კოლტუნოვი**, წითელარმიელი ნიკოლოზ ვასილის-ძე **ლავროვი**, წითელარმიელი გრიგოლ ფილიპეს-ძე **ლუზენცოვი**, უმცროსი მეთაური ივანე ვასილის-ძე **მირონოვი**, უმცროსი მეთაური ნიკოლოზ გაბრიელის-ძე **სმირნოვი**, წითელარმიელი ვასილ ალექსის-ძე **ხალიავინი**, უმცროსი მეთაური ივანე გერასიმეს-ძე **ხოლოდოვი**, წითელარმიელი ნიკოლოზ სპირიდონის-ძე **ჩუმაჩენკო**.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული არიან: წითელარმიელი გრიგოლ ტიხონის-ძე **ბოგდანოვი**, წითელარმიელი ივანე ფედოტის-ძე **ბორისენკო**, უმცროსი მეთაური ივანე ტიხონის-ძე **კალიუჟნი**, ლეიტენანტი ნიკოლოზ ეფიმის-ძე **კოვერნიკი**, წითელარმიელი გრიგოლ ილიას-ძე **კოფანოვი**, უფროსი ლეიტენანტი რუფ ივანეს-ძე **კარტაშოვი**, ლეიტენანტი ჯანგირეი კასიანის-ძე **კუდიაკოვი**, წითელარმიელი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **მარჩენკოვი**, წითელარმიელი ფედორ კუზმას-ძე **ნაიდენოვი**, წითელარმიელი მაკარ ივანეს-ძე **სკრიპკო**, წითელარმიელი ნიკოლოზ ანდრიას-ძე **სმირნიაგინი**, უმცროსი მეთაური დიმიტრი გერასიმეს-ძე **ფედოსეევი**, ლეიტენანტი პავლე იაკობის-ძე **ჩუკარინი**, ლეიტენანტი ივანე ალექსანდრეს-ძე **შკოდსკი**.

მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 47 კაცი და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 25 კაცი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევაიარაღოთ ჩვენი კადრები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით

დაიწყო XVIII ყრილობის მასალების შესწავლა

ტყიბული, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან

ტყიბულის მაღაროებში დაიწყეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებების და ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების ღრმად შესწავლა.

მაღაროების ძირითადი მასა — მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, საექიმო და პედაგოგიური პერსონალი XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის და ჟდანოვის მოხსენებათა შესწავლას შეუდგნენ დამოუკიდებლად.

პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა, — აცხადებს ექიმი კ. ბაბუხადია, — განზრახული მაქვს ინდივიდუალური წესით. გაზეთები, რომლებშიაც გამოქვეყნებულია ყრილობის გადაწყვეტილებები, მოგროვილი მაქვს და ყოველდღიურად ვმუშაობ მათ შესწავლაზე ერთ-ორ საათს.

რაიონის პარტკაბინეტში იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად სწავლობენ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კონსულტანტები: შ. კოპალეიშვილი, ე. ბუბაშვილი და სხვ. ატარებენ როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ კონსულტაციებს. რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციამ შეიმუშავა პარტყრილობის მასალების პროპაგანდის გეგმა. გარდა ამისა, „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქცია ეხმარება თავის მკითხველებს უცხო სიტყვების განმარტებაში.

ლენინის სახელობის მაღაროებში აგიტატორები და მკითხველ-მესაუბრენი ე. შიშინაშვილი, კ. დიაკონიძე, ი. ტორონჯაძე, ა. გოგილიძე, გ. ტორონჯაძე და სხვები საამქროებში, ცვლებში და მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებლებში სისტემატურად ეწევიან XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განმარტებას. პირველ სანიმუშო საერთო საცხოვრებელში, სადაც 80-მდე საუკეთესო სტახანოველი მაღაროელი ცხოვრობს, სისტემატურად და უდიდესი ყურადღებით უსმენენ აგიტატორ კ. დიაკონიძეს ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის მოხსენების კითხვას. ამხ. კ. დიაკონიძე ყოველთვის მოფიქრებულად და დიდი პასუხისმგებლობით ატარებს თავის უბანზე ყრილობის მასალების აგიტაციას.

XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა აგიტაცია - პროპაგანდის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უდგებიან სტალინის სახელობის მაღაროში. აქ აგიტატორები შ. ვახტანგაძე, შ. ჩხიკვაძე და ნ. გიორგობიანი სისტემატურად მუშაობენ თავიანთ საგიტაციო უბნებზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საყოველთაო-სახალხო შესწავლასთან დაკავშირებით ტყიბულის მაღაროებში იზრდება ქვანახშირის ამოღება, რაც იმის შედეგია, რომ სტახანოველებმა, რომლებმაც ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობის დროს აიღეს ახალ-ახალი ვალდებულებანი, ერთი-ორად და ერთი-სამად ასრულებენ მათ. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ყოველდღიური ამოღება მარტის პირველი ნახევრის 850-900 ტონიდან აიყვანა 1.000 - 1.050 ტონამდე მარტის მეორე ნახევარში.

დ. საბელაშვილი.

როგორ ვეუფლები ბოლშევიზმს

დიდი მისწრაფება მქონდა და მაქვს შევისწავლო მარქსიზმ-ლენინიზმი, დავეუფლო დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც მარქსიზმის მსოფლმხედველობას.

გასულ წელს დავამთავრე საქართველოს ექიმთა საზოგადოებასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ორწლიანი კურსები; აღნიშნულ კურსებზე გავლილი საგნები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ფილოსოფიის ისტორია, ლენინიზმი და პარტისტორია — ფრიადზე ჩავაბარე. ამითაც არ ვკმაყოფილდები, სისტემატურად ვისმენ ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში, სტალინის რაიონის პარტკაბინეტში, მედინსტიტუტში და სხვ. უფრო მეტ დროს კი დამოუკიდებელ მუშაობას ვანდომებ: დავამუშავე ლენინის შრომები „მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი“. „სახელმწიფო და რევოლუცია“, სტალინის — „ლენინიზმის საკითხები“, მიტინის —„დიალექტიკური მატერიალიზმი“, პლეხანოვის — „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ღრმად შესწავლას, ვადგენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის კონსპექტს. განზრახული მაქვს ახლო მომავალში შევისწავლო ლენინის წიგნი: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლამ უფრო ღრმა და სალი წარმოდგენა მომცა არა მარტო საზოგადოების განვითარების კანონებზე, არამედ ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობაზედაც. ზოგიერთი საკითხი, რომელიც მედიცინაში დღემდე ბუნდოვნად ითვლებოდა, დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყენების შემდეგ გასაგები ხდება და გარკვეულ სისტემაში მოდის. ამავე თვალსაზრისით ვამუშავებ საკითხებს დაავადებათა მთელი ჯგუფის შესახებ ჩემს უკანასკნელ შრომაში, რომელიც განზრახული მაქვს ცალკე წიგნად გამოვცე.

ხალხთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობაზე იშვიათი სიზუსტით განსაზღვრა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შესწავლის უდიდესი მნიშვნელობა. თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალურად მიგვითითა, რომ „არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“.

დიდი სტალინის ეს მითითება ჩვენ, სპეციალისტებს — ექიმებს გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის.

ექ. ზ. მათეშვილი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტი.

> აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე - საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება.
>
> ი. სტალინი

საფინანსო დარგის მუშაკები ეუფლებიან ბოლშევიზმს

კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება პარტორგანიზაციების ფრიად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა. ამხანაგმა სტალინმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე განსაკუთრებით მიგვითითა პარტიული პროპაგანდის, კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის უდიდეს მნიშვნელობაზე. ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო პარტიის შემადგენლობის რეგულირებისა და ძირეულ მუშაობასთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოვების საქმე; შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო კადრების დაწინაურების, მათი შერჩევის, მათი განაწილების საქმე; მაგრამ თუ ყოველივე ამასთან ერთად რატომღაც კოჭლობას იწყებს ჩვენი პარტიული პროპაგანდა, თუ დაჩიავებას იწყებს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმე, თუ სუსტდება ჩვენი მუშაობა ამ კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების ხაზით, თვითონ კადრებს კი ამასთან დაკავშირებით აღარ აინტერესებთ ჩვენი წინსვლის პერსპექტივა, აღარ ესმით ჩვენი საქმის სიმართლე და უპერსპექტივო საქმოსნებად იქცევიან, რომლებიც ბრმად და მექანიკურად ასრულებენ ზემოდან მიღებულ მითითებებს,—მაშინ უსათუოდ დაჩიავდება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობა“.

ბელადის აღნიშნული მითითება უნდა დაედოს საფუძვლად პარტორგანიზაციების შემდგომ მუშაობას პარტიული პროპაგანდის დარგში.

განსაკუთრებული მუშაობა უნდა ჩაატაროს ამ მხრივ ჩვენმა პარტორგანიზაციამ, რომელიც 43 კომუნისტს აერთიანებს.

ჩვენთან 428 მუშა-მოსამსახურიდან 300-მდე ინტელიგენტია. მათ შორის არიან ეკონომისტები, ბუხჰალტრები, ინჟინერ-ეკონომისტები. პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად ჩვენმა პარტორგანიზაციამ რამდენადმე გააუმჯობესა ინტელიგენციასთან მუშაობა. დღემდე ჩატარებულია ადგილობრივ 5 თეორიული ლექცია. 200 კაცი უკვე დამოუკიდებლად სწავლობს პარტიის ისტორიას. კარგად მუშაობენ თეორიის დაუფლებისათვის ეკონომისტები: ილ. მარგველაშვილი, თ. ლორთქიფანიძე, რევიზორ - ბუხჰალტრები: ი. კუპატაძე, რ. კორინთელი, დ. ჭანაკი, გ. სტვილია (სახ. ბანკის საქკანტორის მმართველი), ა. გოლეთიანი (ბანკის თბილისის კანტორის მმართველი), ა. გრიგოლია, ნ. ლეჟავა და სხვ.

პარტიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლის შემდეგ იმართება ამხანაგური საუბრები, ხდება აზრთა გაცვლა - გამოცვლა, მსჯელობა, მცოდნე ამხანაგები განმარტავენ თანამშრომლებისათვის საინტერესო საკითხებს.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე თავების შესწავლისათვის ამხანაგები სწავლობენ მარქსიზმის კლასიკოსების სათანადო შრომებს. ლიტერატურით მომარაგებაში მათ დახმარებას უწევს ადგილობრივი ბიბლიოთეკა, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი დღემდე სავსებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგები დიდი ინტერესით სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას. რესპუბლიკური კანტორის საქონელბრუნვის სექტორის ეკონომისტი პარტკანდიდატი ამხ. ვარა ბახტაძე პარტისტორიის შესწავლასთან ერთად უკვე შეუდგა პოლიტეკონომიის ღრმად შესწავლას.

— ჩემი სპეციალობა,—ამბობს ამხ. ვ. ბახტაძე,—მოითხოვს პოლიტეკონომიის შესწავლას. მისი შესწავლა, რასაც მე ვაწარმოებ პარტიის ისტორიის შესწავლასთან ერთად, მიმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს და მეხმარება პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში.

დამოუკიდებლად მოსწავლე ამხანაგები ხშირად მოდიან პარტკომში კონსულტაციისათვის. ისინი მიმართავენ აგრეთვე პარტკომის წევრებსა და თეორიულად მცოდნე ამხანაგებს. პარტკომის წევრს, კვების მრეწველობის სექტორის დირექტორს ამხ. ამალია აბრამიანს სისტემატურად მიმართავენ შეკითხვებით ამხანაგები ს. ქარცივაძე, ა. აშიანი, ნ. ალხაზიშვილი და სხვ. ასევე მიმართავენ პარტკანდიდატ ამხ. ნ. ჭახრაკიას, რომელიც ამხანაგებს აძლევს საჭირო ახსნა-განმარტებებს.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი კადრების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისადმი განუზომლად იზრდება. ჩვენი ამოცანაა ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დაუფლებისადმი ჩვენი კადრების მისწრაფებას.

სახ. ბანკის საქართველოს და თბილისის კანტორების პარტორგანიზაციის მუშაობას პარტიული პროპაგანდის დარგში მიღწევებთან ერთად ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. მაგალითად, დღემდე ვერ ჩამოვაყალიბეთ პარტისტორიის შემსწავლელი წრე, მიუხედავად იმისა, რომ 12 კაცმა დიდიხანია წრეში მეცადინეობის სურვილი განაცხადა. ვერ ვაწყობთ ამხანაგურ დისკუსიებს, ნაკლებად ვიყენებთ პარტისტორიის ამა თუ იმ თავთან დაკავშირებით კინოს, თეატრს, მუზეუმს და სხვ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტკომის მიერ მიღებულია ზომები.

ჩვენი პარტორგანიზაცია იბრძოლებს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს დიდი სტალინის ბრძნული მითითებანი პარტიული პროპაგანდის შესახებ, მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით შეიარაღების შესახებ. ამისათვის ყველა საშუალება და შესაძლებლობა მოგვეპოვება.

ალ. გეჯაძე

სახ. ბანკის საქართველოს და თბილისის კანტორების პარტბიუროს მდივანი.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის აგიტატორი ამხ. ა. გოლეთიანი ბანკის მუშაკებს უკითხავს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ დამტკიცებულ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წესდებას.

ფოტო რ. ბაკოფოვისა

გულდასმით ეცნობიან ყრილობის მასალებს

(სოხუმი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები ამჟამად დიდ მუშაობას ატარებენ XVIII პარტიული ყრილობის მასალების ფართო პოპულარიზაციისათვის. სოხუმის საწარმოებში, აგრეთვე აფხაზეთის ყველა წარმოება-დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში პარტიული აგიტატორები მშრომელებს აცნობენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას, ასევე ამხანაგების მოლოტოვის, ჟდანოვის, მანუილსკის მოხსენებებს, ყრილობის მიერ ახალი რედაქციით მიღებულ წესდებას და სხვა მასალებს.

აფხაზეთის მშრომელნი დიდი ინტერესით სწავლობენ ყრილობის მასალებს. პირველ აპრილს სოხუმის პარტრაიკომმა ჩაატარა რაიონის პარტორგების, პროპაგანდისტების და აგიტატორების თათბირი, რომელმაც გულდასმით განიხილა ჩვენი პარტიის წესდება ახალი რედაქციით. თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი ამხანაგ სტალინის მოხსენების ღრმად შესწავლის შესახებ. აქტივს განემარტა, თუ რა საშუალებებით უნდა ჩატარდეს მუშაობა, რათა სტალინის ბრძნული მოხსენება გულდასმით იქნას შესწავლილი თვითეული მშრომელის მიერ.

ამ დღეებში რაიონის პარტიული აქტივი განიხილავს ყრილობის შედეგებს. რაიკომს წესრიგში მოჰყავს თავისი პარტკაბინეტი, რომელმაც დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ყრილობის მასალების შემსწავლელ ამხანაგებს.

გ. მერკვილაძე

გ. გოჩაშვილი

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

ბოლშევიკურად მოვაწყოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა

საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიაში შევა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ყრილობა, სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მობრუნების ყრილობა. განსაზღვრა რა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი და ძლევამოსილი გზა, XVIII ყრილობამ მოგვცა სტალინური საგზური კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. XVIII ყრილობამ პარტია და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ყოვლისმძლე იარაღით.

პარტიამ, მთელმა ქვეყანამ მიიღო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ახალი დოკუმენტი — დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება XVIII ყრილობაზე, რომელიც მარქსისტულ - ლენინური ანალიზის მძლავრი პროჟექტორივით ანათებს სოციალიზმის ქვეყნის განვლილ პერიოდს და გზას პირდაპირ კომუნიზმისაკენ.

ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ამხანაგ ვ. მოლოტოვის შესანიშნავი მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელშიაც საუცხოოდაა მოხაზული კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმა. პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენება, რომელშიაც ასახულია ბოლშევიკური პარტიის ძლევამოსილება და სიდიადე, ახალი გამახვილებული ორგანიზაციული იარაღი მესამე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკურად მოვაწყოთ პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმა და საფუძვლიანი პროპაგანდა, ყრილობის მასალების საყოველთაო - სახალხო შესწავლა.

სავსებით სწორად აღნიშნავდა ამასწინათ „პრავდა“, რომ პარტიული ორგანიზაციების წმინდათაწმინდა მოვალეობაა შეიტანონ მასებში ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვა, შეიტანონ მასებში ყრილობის გადაწყვეტილებანი იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლოს თვითეულმა მშრომელმა ნათლად შეიგნოს ქვეყნის წინაშე დასახული დიადი ამოცანები, რადგან „ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა — კომუნიზმის სრული გამარჯვების დაჩქარების მძლავრი საშუალებაა“.

ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან წინასწარი გაცნობა აგიტატორების საშუალებით, რაც ამჟამად მიმდინარეობს ჩვენს რაიონში, ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია.

საქმე ეხება ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გულდასმით შესწავლას, ყრილობის მასალების პროპაგანდის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. პარტიული პროპაგანდის ყველაზე უფრო სერიოზული ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ ყრილობის დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო შესწავლა, ამ დოკუმენტების ღრმა და საფუძვლიანი პროპაგანდისათვის გამოვიყენოთ პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო ძალები, ჩვენი საპროპაგანდო მუშაობის კერები.

ორჯონიკიძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ უკვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეს.

ყრილობის დოკუმენტების პროპაგანდის საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა ინტელიგენციას. ჩვენს რაიონში ინტელიგენციის უზარმაზარი არმიაა. ამათში არიან მოწინავე მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, მეცნიერი მუშაკები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები და სხვ. ესენი უნდა იყვნენ პირველი აგიტატორები და პროპაგანდისტები. გვაჩნია რა კვალიფიციურ პროპაგანდისტთა საკმარისი კადრები, ჩვენ ოდნავადაც არ ვფიქრობთ კვლავ გამოვედევნოთ წრეების რაოდენობას და ხელოვნურად შევქმნათ ყრილობის მასალების შემსწავლელი წრეები. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ყრილობის მასალების პროპაგანდას საფუძვლად დაუდოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გასული წლის 14 ნოემბრის შესანიშნავი გადაწყვეტილება, ყრილობის მასალების შესწავლა ძირითადად ვაწარმოოთ დამოუკიდებელი შესწავლის გზით.

ძირითადი მასა მუშაობს დამოუკიდებლად. ეს გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. საჭიროა სანიმუშოდ მოვაწყოთ პარტიული კაბინეტის მუშაობა, დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები უზრუნველვყოთ კვალიფიციური კონსულტაციებით.

ჩვენი პარტიული კაბინეტი ამჟამად უკვე გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ამ მიმართულებით. მოწყობილია მასალების გამოფენა, შეგროვილია XVIII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებები, „პრავდის“ მეთაური წერილები და სხვ. უკვე ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები ყრილობის მასალებზე. ჩატარდა პირველი ლექცია ამხანაგ სტალინის მოხსენების იმ ნაწილის გარშემო, რომელიც ეხება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ეპოქაში სახელმწიფოს საკითხს.

უახლოეს დღეებში ასეთი ლექციები მოეწყობა მსხვილ დაწესებულებებში რაიონის მასშტაბით. გადაწყვეტილი გვაქვს პირველი ლექციები მივუძღვნათ ამხანაგ სტალინის მოხსენების იმ ნაწილს, რომელშიაც ლაპარაკია სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ.

ვფიქრობთ განსაკუთრებით მაგრად მოვკიდოთ ხელი იმ კადრების თეორიულ შეიარაღებას, რომლებიც ახლახან დავაწინაურეთ საპასუხისმგებლო სამუშაოებზე არა მარტო პარტიის ხაზით, არამედ საბჭოთა, სამეურნეო და სამეცნიერო დაწესებულებებში. რასაკვირველია, არა წრეებში მათი ჩაბმით, არამედ სისტემატური საუბრებით, კონსულტაციებით, ლექციებით და სხვ.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იმის შიშით, რომ მისთვის წვრილმანი მეურვეობა და „კონტროლიორობა“ არ დაეწამათ, ხელაღებით უარჰყოფდა ინდივიდუალურ დახმარებას ამხანაგებისადმი, რომლებიც დამოუკიდებლად შეუდგნენ მეცადინეობას. ასეთ განწყობილებებს გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ.

პარტიის ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა, მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა რა საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისა და ჩვენი კადრების იდეური გამოწრთობის შესახებ, აღნიშნა:

„აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე - საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება“.

როგორც ცნობილია, ჩვენს რაიონში თავმოყრილია რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი. უდავოა, რომ უკანასკნელ ხანებამდე უმაღლეს სასწავლებლებში ახალი კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდასა და ჩამოყალიბებას არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა. პარტიის ისტორიის სწავლება ბევრგან მოწყვეტილი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისაგან. უმაღლეს სასწავლებლებში ხელოვნურად ყალიბდებოდა წრეები, რომლებშიც მექანიკურად აერთიანებდნენ მსმენელებს.

წრეების რიცხვი ახლა მინიმუმამდეა შემცირებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტიული პროპაგანდის საქმე, ახალგაზრდა კადრების მარქსისტულ - ლენინური აღზრდის საქმე უკვე უნაკლოდ იყოს დაყენებული.

უმაღლესი სასწავლებლების პარტორგანიზაციების წინაშე დგას უაღრესად სერიოზული ამოცანა — სანიმუშოდ მოაწყონ პარტიული პროპაგანდა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი როგორც მოსწავლეებს, ისე მეცნიერ მუშაკებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების დაუფლებაში.

ამხანაგი სტალინი XVIII ყრილობაზე საუცხოოდ აღნიშნავდა, რომ დაუფლება მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისა საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის. ბელადის ეს გენიალური მითითება ჩვენი რაიონის პარტორგანიზაციის მუშაობის ძირითად ღერძად უნდა გადაიქცეს. მთელი ჩვენი საპროპაგანდო მუშაობა უნდა მოვაწყოთ ისე, რომ ნამდვილად შევაიარაღოთ ჩვენი პარტიული მასები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია ბოლშევიზმის იდეებით, ისტორიული ყრილობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებებით.

ორჯონიკიძის რაიონის ბოლშევიკები ორგანიზებულად და სრული მზადყოფნით იწყებენ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებების პროპაგანდას, ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო შესწავლას.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაჩნია იმისათვის, რომ კრემლის სასახლის დიდი დარბაზის ტრიბუნიდან წამოსული მგზნებარე ბოლშევიკური სიტყვები შევიტანოთ მასებში, დავრაზმოთ ჩვენი რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მესამე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XVIII ყრილობის მასალებს

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ბორჯომის რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის მასალების კითხვას, ყრილობის შესახებ საუბრებს სისტემატურად უსმენს მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში სისტემატურად მიმდინარეობს მასალების კითხვა, საუბრები. აგიტატორები ამხ. ა. კაიხანოვი, ალ. გელაშვილი და ნ. თედიაშვილი ყოველდღიურად უკითხავენ და უხსნიან მუშებს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას.

ფართოდ გაიშალა ყრილობის მასალების შესწავლა ახალდაბის ხეტყის სახერხ ქარხანაში. აგიტატორები: ს. თავაძე და შ. გოგოლაძე მომზადებულად ატარებენ საუბრებს ბელადის მოხსენების ირგვლივ. მათ წაუკითხეს და განუმარტეს მუშებს „პრავდის“ მოწინავე წერილები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამ დღეებში ჩაატარა აგიტატორების, პარტკომთა მდივნებისა და პარტორგების საინსტრუქციო თათბირი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მასალების ირგვლივ ახსნა-განმარტებისა და ყრილობის დოკუმენტების შესწავლის საკითხებზე.

პარტკაბინეტში სისტემატურად ტარდება კონსულტაციები XVIII პარტყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის.

გრ. ლომიძე

ყოველი ბოლშევიკისათვის სავალდებულო მეცნიერება

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ უდიდეს დახმარებას უწევს არა მარტო პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებს, რომლებიც ღრმად ეუფლებიან ბოლშევიზმს, არა მარტო ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს და სხვ. იგი უდიდესი იდეური იარაღია ყველა დარგის მეცნიერების მუშაკებისათვის, ხოლო მათ შორის ჩვენთვისაც — ქიმიკოსებისათვის. ისტორიის მოკლე კურსი, როგორც ბოლშევიზმის დაუფლების საუკეთესო საშუალება, ჩემი მაგიდის წიგნია.

თეორიით შეიარაღების ამოცანა ქიმიის მეცნიერების მუშაკთათვის განსაკუთრებული ძალით ისმება ახლა, როცა ქიმიას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თვითეულ ჩვენთაგანს კარგად უნდა ესმოდეს ლოზუნგი — „მესამე ხუთწლედი ქიმიის ხუთწლედია“. ქიმიის დარგში მომუშავე თვითეული თეორიული და პრაქტიკული მუშაკი ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო ამისათვის საჭიროა იცოდე და გწამდეს იმ საქმის სიმართლე, რომელსაც შენ ემსახურები, გაინტერესებდეს წინსვლის პერსპექტივა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დაუფლებით.

ამიტომ არის, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის დღიდანვე შევუდექი მის შესწავლას. შევისწავლე უკვე ისტორიის ხუთი თავი. თვითეულ თემასთან დაკავშირებით ვკითხულობ და ვსწავლობ მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის შრომებს. ვკითხულობ აგრეთვე პლეხანოვის შრომებს.

ახლა ჩემთვის საზოგადოების კანონების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შესწავლა მარტო ვალდებულება კი არ არის, არამედ მოთხოვნილებადაც იქცა. ეს ჩვენი დარგის თვითეული ბოლშევიკისათვის ასე უნდა იყოს, „ვინაიდან, — როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა თავის შესანიშნავ მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე, — არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ლენინელად კაცი, რომელიც თავის თავს ლენინელს უწოდებს, მაგრამ ჩაკეტილია თავის სპეციალობაში, ჩაკეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკასა ან ქიმიაში და თავისი სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს. ლენინელს არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი, — იგი ამასთანავე ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი — საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება თავისი ქვეყნის ბედიღბალს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე“.

დიდი ბელადის ეს მითითება კიდევ უფრო ვაცხოველებს ჩვენი კადრების ინტერესს მარქსისტულ-ლენინური განათლებისადმი, ბოლშევიზმის დაუფლებისადმი. აღნიშნულ მითითებათა განხორციელება წინ წასწევს არა მარტო თვითეული სპეციალისტის იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას, არამედ იმით, რომ ჩვენი კადრები დაეუფლებიან ბოლშევიზმს, მარქსიზმ-ლენინიზმს, წინ წავა და ამაღლდება მთელი მეცნიერება.

მთელი ჩემი მუშაობა ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ ღირსეულად შევასრულო ამხანაგ სტალინის გენიალური მითითება კადრების პოლიტიკური დონისა და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის ამაღლების შესახებ.

ა. სამსონია

ქიმიის მეცნიერების კანდიდატი, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე.

იდეურად ვიზრდები

ხალხთა ბელადი დიდი სტალინი თავის ღრმა და ბრძნულ მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გენიალური გამჭრიახობით ამბობდა: „ახალგაზრდა კადრების აღზრდა და ჩამოყალიბება ჩვენში ჩვეულებრივ მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, სპეციალობათა მიხედვით მიმდინარეობს. ეს აუცილებელი და მიზანშეწონილია. აუცილებელი არ არის, რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს სპეციალისტი ფიზიკოსი ან ბოტანიკოსი იყოს, და პირიქით. მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“...

ცნობილია, რომ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა საფუძველს უყრის ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის ახალ გაქანებას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლამ განსაკუთრებული ინტერესი აღძრა. ამ ღირსშესანიშნავ ნაშრომში მოკლედ, გასაგებად, მეცნიერულად დალაგებულია ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების წარმტაცი ისტორია. ეს წიგნი უაღრესად ბასრი იარაღია ბოლშევიზმის შესასწავლად.

მეც ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვმუშაობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლაზე. მიღებულ ცოდნას ვაღრმავებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომების შესწავლით. მაგალითად, პირველი თავის შესწავლის დროს მე წავიკითხე ლენინის ნაშრომები გლეხობის მდგომარეობის შესახებ, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ და სხვ.

მეორე თემის შესწავლისას წავიკითხე ლენინის „რა ვაკეთოთ“, ლენინის სიტყვა პარტიის II ყრილობაზე წესდების I მუხლის გარშემო, II ყრილობის რეზოლუციები და ლენინის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ასევე ვიქცევი სხვა თავების შესწავლისას.

მინდა შევჩერდე IV თავზე და განსაკუთრებით ამ თავიდან საკითხზე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. ეს თავი დიდად დამეხმარა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გაგებაში. ახლა მე საშუალება მაქვს ჩემი ცოდნა ამ დარგში კიდევ უფრო გავაფართოვო, ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლო ფილოსოფია. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მეოთხე თავის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე. პირველ ხანებში კონსპექტი შევადგინე, შემდეგ ხელი მოვკიდე უფრო რთულ საქმეს, — ლენინის ნაშრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ შესწავლას, ამ შემთხვევაში დამჭირდა ხშირად მიმემართა სხვადასხვა ლექსიკონებისათვის.

ერთი უნდა შევნიშნო. როცა შევუდექი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას, მე ის პირველად თავიდან ბოლომდე გულმოდგინედ გადავიკითხე. ზოგიერთ თავებს რამდენჯერმე დავუბრუნდი. მსურდა პირველად მქონოდა წარმოდგენა მთლიანად წიგნზე და შემდეგ კი დავიწყე მისი უკვე დეტალურად შესწავლა, იმის მიხედვით, როგორც ეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილებაშია მითითებული. პარალელურად თვალყურს ვადევნებ ყოველდღიურ პრესას, ჟურნალ-გაზეთებს, ვეცნობი დასმულ კითხვა-პასუხებს, სისტემატურად ვესწრები საჯარო მოხსენებებს, საჭიროების დროს პარტკაბინეტში დავდივარ.

პარტიის ისტორიის შესწავლაში დიდად მეხმარება ის გარემოება, რომ მე უზრუნველყოფილი ვარ ლიტერატურით, თავისუფლად ვსარგებლობ რუსული ლიტერატურით, მაქვს ლენინის ნაშრომების ყველა ტომი, ამხანაგ სტალინისა და მარქს-ენგელსის ნაშრომები.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდზე გადასვლამ დიდი სარგებლობა მომიტანა. ვგრძნობ, რომ თეორიულად ვიზრდები, მაგრამ ამით როდი ვკმაყოფილდები. მიუხედავად სამსახურისა და პარტიულ-საზოგადოებრივი დავალებებით გადატვირთვისა, ყოველდღე აუცილებლად რამდენიმე საათს ვმუშაობ საკუთარ თავზე. ეს ხელს მიწყობს პედაგოგიურ მუშაობაშიც. ახლა უკეთ ვხელმძღვანელობ სკოლასაც.

ბენო ბარამიძე

თბილისის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორი.



თბილისის ქალაქის 1-ლი საავადმყოფო. პროფესორი ე. ბ. თოდაძე კითხულობს ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენებას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

საქჟესის ფოტო-ქრონიკა

ფაშისტური ტერორის მსხვერპლი

პარიზი, 31 მარტი (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები გესტაპოს ახალი მხეცური აქტის შესახებ. ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი მასობრივი დაპატიმრების დროს ქალაქ ნიბურგში დააპატიმრეს კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი კარლ ბენეში, რომელიც წამებით მოჰკლეს გესტაპოს აგენტებმა. გესტაპოს ამ მხეცურმა აქტმა ნიბურგის მთელი მუშათა მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. გესტაპო იძულებული გახდა ბენეშის ცხედარი გადაეცა მუშებისათვის, რომელნიც საპატიმროში მივიდნენ. 27 მარტს მოხდა მედგარი რევოლუციონერის კარლ ბენეშის დაკრძალვა. დაკრძალვას ქალაქის მთელი მოსახლეობა დაესწრო.

სასურსათო კრიზისი და ფაშისტური ტერორი კლაიპედაში

ვარშავა, 31 მარტი (საკდესი). გაზეთ „ილუსტროვანი კურიერ ცოძენის" კლაიპედელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელმა ოკუპანტებმა კლაიპედის (მემელის) ოლქის დაკავებისთანავე გერმანიაში გაიტანეს სოფლის მეურნეობის დიდძალი პროდუქტი; ამასთან დაკავშირებით კლაიპედაში სურსათ-სანოვაგის დიდი ნაკლებობაა. კლაიპედის ეკონომიური მდგომარეობა,—სწერს კორესპონდენტი,— ლიტვასთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო სულ უფრო-და-უფრო უარესდება.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანია - ლიტვის „მოლაპარაკებას", რაც დაკავშირებულია კლაიპედის გადაცემასთან, თან სდევს გერმანიის მხრივ უტიფარი გამოძალვა ლიტვის მიმართ. კერძოდ კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის ხელისუფალთ განზრახული აქვთ მოახდინონ ლიტვის პურის, ბეკონისა და ერბოს იმ მარაგის კონფისკაცია, რომელიც კლაიპედის საწყობებში ინახებოდა.

კორესპონდენტის სიტყვით, კლაიპედაში ფაშისტური ტერორი მძვინვარებს. გერმანელი ფაშისტების მისვლის შემდეგ კლაიპედის ოლქში დარჩენილ ლიტველებს სცემენ და სძარცვავენ. გესტაპომ დააპატიმრა 73 ლიტველი საზოგადო მოღვაწე და ჩასვა ნავსადგურის შენობების სარდაფებში, სადაც ისინი მძიმე პირობებში იმყოფებიან, ცემენტის იატაკზე სძინავთ, არ ეძლევათ წყალი და სხვ.

ფაშისტური რეაქცია ჩეხიასა და მორავიაში

პრაღა, 31 მარტი (საკდესი). ჩეხთა ფაშისტური ჯგუფის ლიდერმა გენერალმა გაიდამ გამოაცხადა, რომ მისი ჯგუფი შედის პრეზიდენტ გახას მიერ შექმნილ „ნაციონალური ერთიანობის" ახალ ფაშისტურ ორგანიზაციაში.

გაცემულია განკარგულება იმის შესახებ, რომ მთელი ყოველდღიური პრესა (ყოფილი „შრომის პარტიის" გაზეთიც) გადადის „ნაციონალური ერთიანობის" პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. გაზეთების ყველა რედაქციაში დანიშნული არიან მთავრობის კომისრები.

ჩეხიისა და მორავიის ტერიტორიაზე აკრძალულია ყველა უცხოური გაზეთის გავრცელება.

ფაშისტური ტერორი ესპანეთში

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მადრიდში სამხედრო წესების შემოღებასთან დაკავშირებით ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს იმ „დანაშაულობათა" სია, რომლებისთვისაც დამნაშავენი სიკვდილით დაისჯებიან. კერძოდ, სიკვდილით დაისჯებიან ის პირები, რომლებზედაც ეჭვს მიიტანენ, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვაში ან ცდილობდნენ გამოეწვიათ გაფიცვა, აგრეთვე ხელისუფალთა ნებადაურთველად აწყობდნენ კრებებს სამი ან მეტი კაცის შემადგენლობით.

გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტის ცნობით, გენერალ ფრანკოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვალენსიაში დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს რამდენიმე ათასი რესპუბლიკელი.

კორესპონდენტის სიტყვით, დიდძალი ხალხი დააპატიმრეს აგრეთვე ხაენში.

კანონპროექტი საფრანგეთის საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ

პარიზი, 31 მარტი (საკდესი). დეპუტატთა პალატამ ამ დღეებში 425 ხმით 152 ხმის წინააღმდეგ მიიღო პირველი მუხლი კანონპროექტისა „საარჩევნო სისტემის რეფორმის" შესახებ. ეს მუხლი აწესებს ეგრეთწოდებული პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს.

უკანასკნელი ცნობები

მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 1 აპრილი (საკდესი). გუშინ ლონდონში „მშვიდობიანობისა და სსრ კავშირთან მეგობრობის ნაციონალური კომიტეტის" ინიციატივით მოწვეული იყო ინგლისის ყველა პარტიისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიტინგი. ამ მიტინგზე გამოსული ორატორები — კონსერვატორები, ლიბერალები და ლეიბორისტები—დაჟინებით მოითხოვდნენ ინგლისის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას სსრ კავშირთან.

ინგლისის თემთა პალატის წევრმა კონსერვატორმა ვივიან ადამსმა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ინგლისის ხალხს გულწრფელად სურს ითანამშრომლოს ყოველ სახელმწიფოსთან, რომელიც მიისწრაფვის საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ, რომელიც მზად არის სხვა სახელმწიფოებთან ერთად გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა დამრღვევთ და, ბოლოს, რომელსაც მოეპოვება საკმაო ძალა იმისათვის, რომ დახმარება გაგვიწიოს საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის საქმეში.

„ჩვენ კარგად ვიცით, — განაგრძობდა ადამსი, — რომ სსრ კავშირი სწორედ ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენს. არავის არ შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ ფაშიზმის პირობებში დათრგუნვილია ყველა შემოქმედებითი ძალა იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში შექმნილია ყოველგვარი შესაძლებლობა განუწყვეტელი და წარმატებითი წინსვლისათვის. ჩვენ მოწმენი ვართ სწრაფი აღმავლობისა, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში". „ამიტომ ყოველი გულწრფელი პატრიოტი,—დასძინა ადამსმა შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში, — უეჭველად მიესალმება სსრ კავშირს როგორც თავის მოკავშირეს, რომელსაც ყველაზე ძლიერი და კარგად ორგანიზებული არმია ჰყავს".

დასასრულ ადამსმა განაცხადა, რომ დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უშიშროება ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია ლონდონის, პარიზის, მოსკოვისა და ვაშინგტონის თანამშრომლობაზე.

საფრანგეთის პრესა პოლონეთზე თავდასხმის გერმანული გეგმების შესახებ

პარიზი, 1 აპრილი (საკდესი). ჟენევიევ ტაბუი გაზეთ „ევრში" სწერს, რომ, ვარშავიდან მიღებული ცნობების თანახმად, გერმანია განაგრძობს გაძლიერებულ სამხედრო მზადებას, რაც მიმართულია პოლონეთის წინააღმდეგ. ფრანგი ჟურნალისტი ქალის ცნობებით, პოლონეთის საზღვრებთან თავმოყრილია გერმანიის ავიაციის 60 პროცენტი და გერმანიის ჯარის მოტორიზებულ ნაწილების 75 პროცენტი, რათა სათანადო სიგნალის შემდეგ ერთსა და იმავე დროს შეიჭრან პოლონეთის ოთხ პუნქტში: ბოგუმინ-ტეშინის რაიონში, ზემო სილეზიაში, პომერანიასა და სუვალკის რაიონში.

ტაბუი აცხადებს, რომ „გერმანიის გეგმები არ იწვევს პანიკურ განწყობილებას პოლონეთში, ვინაიდან იგი მოემზადა იმისათვის, რომ სათანადო პასუხი გასცეს გერმანიის თავდასხმას".

ახალი აფეთქებანი ლონდონში

ლონდონი, 1 აპრილი (საკდესი). დღეს, დილით ადრე, ლონდონის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში მოხდა უცნობი პირების მიერ გადასროლილი ყუმბარების რამდენიმე ახალი აფეთქება. ერთერთი ყუმბარა აფეთქდა ფლიტ-სტრიტზე გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" რედაქციის მახლობლად. აფეთქების შედეგად დაზიანდა ამ რედაქციის შენობა. რედაქციის მახლობლად მდებარე სახლებში ჩალეწილია ფანჯრები. აფეთქება მოხდა აგრეთვე ლონდონის მთელ რიგ მაღაზიებთან.

◇ ◇ ◇

ჩინეთის არმიის მებრძოლები ფრონტზე ხუნანის მთებში.

საკდესის ფოტოქრონიკა

პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის რეზოლუცია

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ ფაშისტური იტალიისა და გერმანიის აგრესიის ეფექტიური აღკვეთის ერთადერთი გზაა მშვიდობიანობის ფრონტის დაუყოვნებლივ შექმნა ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის შემადგენლობით, რომლებთან შეერთებაც ყოველ ქვეყანას შეუძლია. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა უნდა დასდონ ვალდებულებანი ურთიერთ გარანტიისა და რაიმე პირობის წამოუყენებლად სრული მხარდაჭერის შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანია და იტალია აგრესიის ახალ აქტებს ჩაიდენენ, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმისა იქნება ეს აგრესია.

პარიზის სასამართლო რეაქციის სამსახურში

პარიზი, 31 მარტი (საკდესი). საფრანგეთის რეაქცია კვლავ მიმართავს სხვადასხვა ხრიკებს, რათა გამონახოს საშუალებანი მუშათა კლასის ორგანიზაციებზე ზემოქმედების მოსახდენად და მათ წინააღმდეგ რეპრესიების გასატარებლად. პარიზის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში 29 მარტს ირჩეოდა „სარჩელი", რომელიც რენოს საავტომობილო ქარხნების დირექციამ წაუყენა პარიზის რაიონის მელითონეთა პროფკავშირის ორგანიზაციას. დირექცია მოითხოვდა „აენაზღაურებინათ 5 მილიონი ფრანკი ზარალი", რომელიც რენოს ქარხნებს ვითომ მოუვიდათ 30 ნოემბრის საყოველთაო გაფიცვის ჩატარების შედეგად. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც პრინციპულად მიმართულია პროფკავშირული ორგანიზაციების წინააღმდეგ. სასამართლომ დანიშნა ორი „ექსპერტი" იმისათვის, რათა მათ გამოიანგარიშონ ზარალის ოდენობა, რომელიც „დაფარულ უნდა იქნას პროფკავშირების ხარჯზე".

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). დღეს თემთა პალატაში ინგლისის მთავრობის პრემიერი ჩემბერლენი გამოვიდა განცხადებით საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ჩემბერლენმა კვლავ განიმეორა, რომ „ინგლისის მთავრობა ცდილობს მშვიდობიანი გზით გადასჭრას ყველა წამოჭრილი დავა. ამჟამად ინგლისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს სხვა მთავრობებთან. იმისთვის, რომ სრული გარკვეულობა შეიტანო ინგლისის მთავრობის პოზიციის საკითხში ჯერ კიდევ ამ მოლაპარაკების დამთავრებამდე, მე პალატას მოვახსენებ შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის დამოუკიდებლობას უშუალო საფრთხე დაემუქრება და თუ პოლონეთის მთავრობა აბსოლუტურად საჭიროდ ჩასთვლის წინააღმდეგობის გაწევას და ამისათვის თავისი ნაციონალური ძალების გამოყენებას, მაშინ ინგლისის მთავრობა ვალდებულად ჩასთვლიდა თავის თავს გაეწია პოლონეთისათვის სრული დახმარება, რაც კი ინგლისის მთავრობას ძალუძს. პოლონეთის მთავრობამ მიიღო ჩემგან ამის დაპირება. შემიძლია დავუმატო, რომ საფრანგეთის მთავრობამ დამავალა განვაცხადო, რომ იგი სავსებით იზიარებს ინგლისის პოზიციას ამ საკითხში".

ლეიბორისტმა ჯონ მორგანმა მთავრობისაგან მოითხოვა დაპირება, რომ იდეოლოგიის საკითხები დაბრკოლებად არ იქნება მიჩნეული ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის დამყარებისათვის. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩემბერლენი, რომელმაც განაცხადა, რომ მას უყოყმანოდ შეუძლია მისცეს დაპირება, რომელსაც მორგანი მოითხოვს.

ჟურნალი „ნეიშენი" ინგლისის პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი, 31 მარტი (საკდესი). ჟურნალი „ნეიშენი" სწერს, რომ ფაშისტური გერმანიის აგრესიის შეჩერება მხოლოდ ინგლისის, საფრანგეთის, სსრ კავშირისა და პოლონეთის სამხედრო კონტაქტს შეუძლია. მაგრამ ასეთი შეთანხმების მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ საერთო კონფერენციის მოწვევის გზით, რომლის წინადადებაც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა.

სსრ კავშირისაკენ ინგლისის პოლიტიკის მოულოდნელ მობრუნებას, — განაგრძობს ჟურნალი, — შეუძლია გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზეც. თუ ინგლისის ინტერესები აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხში საბჭოთა კავშირის ინტერესებს ემთხვევა, ეს მით უფრო ითქმის ამერიკის შეერთებულ შტატებზე. საბჭოთა კავშირი არათუ წარმოადგენს ევროპაში გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ მშვიდობიანობის დასაყრდენს, არამედ პოტენციალურად აკავებს იაპონიის აგრესიის გავრცელებასაც შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს პირდაპირ საფრთხე ემუქრება. ამ ორ დიდ სახელმწიფოს—სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს—მოეპოვებათ მსოფლიო რესურსების მეტი ნაწილი და მათ ურთიერთთანამშრომლობის დროს, უეჭველია, შეეძლებოდათ ომის თავიდან აცილება.

მაგრამ ჟურნალი „ნეიშენი" აღნიშნავს, რომ არის საფუძველი სკეპტიკურად მოეპყრათ ინგლისის ახლანდელ პოზიციას. „ადვილად შესაძლებელია,—სწერს ჟურნალი,— რომ ახლა, ისევე როგორც გასული წლის სექტემბერში, ინგლისის ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ აიძულოს გერმანია აღმოსავლეთს მიუბრუნდეს".

სახალხო ფრონტის მომხრეთა გარიცხვა ლეიბორისტული პარტიიდან

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის აღმასკომმა მემარჯვენეთა მოთხოვნით პარტიის რიგებიდან გარიცხა სახალხო ფრონტის ხუთი მომხრე: სტრაუსი (თემთა პალატის წევრი), ტრეველიანი (ყოფილი განათლების მინისტრი მაკდონალდის მთავრობაში), ბევანი (თემთა პალატის წევრი), ბრიუსი და იუნგი.

ლეიბორისტული პარტიის ყველა ეს ხუთი წევრი კრიპსთან ერთად აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა ქვეყნის დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებისათვის ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

იაპონელები ახდენენ საფრანგეთის კუნძულის სპრატლის ოკუპაციას

ტოკიო, 31 მარტი (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იაპონიამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა კუნძული სპრატლი (კუნძული სპრატლი, რომლის ოკუპაცია საფრანგეთმა მოახდინა 1933 წელს, მდებარეობს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში საფრანგეთის ინდო-ჩინეთსა და ბორნეოს კუნძულს შორის).

ამ კუნძულის ხელში ჩაგდებას იაპონიის მთავრობა იმით ასაბუთებს, რომ „ჯერ კიდევ 1917 წლიდან იაპონელებმა იწყეს ამ კუნძულზე დასახლება". ამ კუნძულის ეკონომიურ ათვისებას, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, „ხელს უშლიდა ადმინისტრაციის უყოლობა".

დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სავადამ საფრანგეთის ელჩს ტოკიოში ანრის აცნობა კუნძულ სპრატლის ოკუპაციის შესახებ.

რუსთაველის სახელობის თეატრის დრამატიული სტუდიის აფხაზური სექციის სადიპლომო სპექტაკლი. სურათზე: სცენა დ. კლდიაშვილის „უბედურებიდან".

◇ ◇ ◇

რუსთაველის თეატრის სტუდიის აფხაზური სექციის სადიპლომო სპექტაკლი

რუსთაველის თეატრთან 1922 წლიდან არსებობს სტუდია, რომელსაც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ა. ფალავა, შემდეგ ა. ვასაძე, ამჟამად კი ხელმძღვანელობს ა. ხორავა. ამ 17 წლის განმავლობაში სტუდიამ დიდი მუშაობა ჩაატარა. მან მოამზადა ახალი კადრები, რომლებიც დღეს საქართველოს თეატრებს ამშვენებენ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ სტუდიაში გაიზარდა სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი აკაკი ხორავა. რამდენიმე წლის წინათ სტუდიამ გამოუშვა სრული შემადგენლობა აჭარის თეატრისა, რომელიც წარმატებით შემოქმედებითს მუშაობას ეწევა ბათუმში.

31 მარტს რუსთაველის თეატრში შესდგა სტუდიის აფხაზური სექციის გამოშვება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთს საკუთარი, ნაციონალური თეატრი არ ჰქონია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთის ლიტერატურასა და სათეატრო ხელოვნებას. თეატრისათვის საჭირო იყო მსახიობთა მომზადებული კადრები. რუსთაველის თეატრმა იკისრა ეს საპატიო ვალდებულება და წარმატებითაც შეასრულა იგი. 31 მარტს კურსდამთავრებულნი წარსდგნენ თბილისის მაყურებელთა წინაშე სადიპლომო ნაშრომით.

სტუდიამ წარმოადგინა დ. კლდიაშვილის „უბედურება" და მოლიერის „სგანარელი". „უბედურება" აფხაზურად სთარგმნეს ჭ. ჯოპუამ და ვ. ჩიჩერიამ, დადგა ა. ვასაძემ, ხოლო „სგანარელი" — ი. ჩოჩუამ და ვ. ჩიჩერიამ, დადგა დ. ალექსიძემ.

სპექტაკლმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელთა დიდ უმრავლესობას აფხაზური ენა არ ესმოდა, დასმა შესძლო სპექტაკლის ისე ვათამაშება, რომ დამაჯერებლად განასახიერა კლდიაშვილი და მოლიერი. მოთამაშეთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ტიპების სწორი და მძლავრი განსახიერებით ი. ჩოჩუამ, ა. ჩიხჩალიამ, მ. ზუხუბამ, ჭ. ჯოპუამ, ვ. გეზერდავამ, ი. ძიძიგურმა, მ. კასლანძიამ, ლ. კალბაიამ და სხვებმა. განსაკუთრებით კარგად წავიდა „სგანარელი", თუმცა ზოგიერთი ადგილი რეჟისორს გაუშარჟებია. ჭ. ჯოპუა საუცხოო სგანარელი იყო. მშვენიერი იყო დ. თავაძის („უბედურება") და ო. ჭიაურელის („სგანარელი") მხატვრობა.

ზრ. ნუცუბიძე.

14.000 ფოტოდეპეშა

ბილდაპარატის ერთი წლის მუშაობა თბილისში

ერთი წლის წინათ, 1938 წ. 1 აპრილს, თბილისსა და მოსკოვს შორის დამყარებულ იქნა პირდაპირი კავშირი ბილდაპარატით. ამ ხნის განმავლობაში ბილდკავშირი მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ყოფაცხოვრებაში, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფოტოდეპეშების მიღება-გადაცემა ყოველთვიურად მატულობს. ბილდაპარატის მუშაობის პირველ თვეში მიღებული და გადაცემული იყო 622 ფოტოდეპეშა, 1939 წ. მარტში კი მათმა რაოდენობამ 2063-ს მიაღწია. სულ წლის განმავლობაში მიღებული და გადაცემულია მოსკოვს 6.565 ფოტოდეპეშა. ამ უკანასკნელ ხანებში გაადიდეს ბილდაპარატის მუშაობის დრო.

რადიომიმღები გადაკეთებულია სპეციალურად ფოტოკავშირით მუშაობისათვის და ამ გზით ფოტოდეპეშების მიღება გაუმჯობესდა. კერძო დეპეშებისა და სამსახურებრივი ცნობების გარდა ხდება ყოველგვარი ნახაზების, დიაგრამების, სქემებისა და სხვ. გადაცემა. ბილდაპარატით გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებენ სახალხო კომისარიატებსა და მთავარ სამმართველოებთან თბილისის ქარხნები და ფაბრიკები.

გამოცდის შემდეგ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, 28 მარტს დამყარებულ იქნა ბილდკავშირი თბილისსა და ბაქოს შორის. ამ ხაზით ხდება ყოველგვარი ტექსტისა და ყოველგვარი სურათის გადაცემა, გარდა მიხაკისფერისა. (საქდესი).

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ პირველობა მოიპოვა

შეჯამებულია შედეგები, სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელშიც ჩაბმული იყვნენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქების — თბილისის, ბაქოს და ერევნის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები. შეჯიბრების მიზანი იყო მიმდინარე წლის წვევამდელთა საუკეთესო საექიმო მომსახურება. შეჯიბრების არბიტრმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-სანიტარულმა განყოფილებამ პირველობა მიაკუთვნა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას, რომელსაც საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა.

მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების მიზნით, თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ გადაწყვიტა განაგრძოს სოცშეჯიბრება ბაქოს და ერევნის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებთან. (საქდესი).

ახალი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი

თბილისის რაიონი, 31 მარტი (საქდესი). ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა ახალი სამშობიარო სახლი 8 საწოლით; სახლის მშენებლობაზე 23 ათასი მანეთი დაიხარჯა.

მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება

თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საზოგადოება „მშენებლის" მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ხარკოვისა და ბაქოს 70 უძლიერესი მოკრივე, რომელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ცნობილი ოსტატები: ე. ოგურენკოვი, სეგალოვიჩი, ავდეევი, გრენერი, ჩერნიაევი, ბაკუნი და სხვ.

წონის სხვადასხვა კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს: სეგალოვიჩმა (ხარკოვი), ავდეევმა (მოსკოვი), გრენერმა (ხარკოვი), კვინიხიძემ (თბილისი), ოგურენკოვმა (მოსკოვი), რიკუსმა (ხარკოვი), დვალმა და ლუდუშაურმა (ორივე თბილისი). მეორე ადგილებზე გამოვიდნენ კალაძე (თბილისი), ფილიპოვი, სუხორუჩკინი, ბაკუნი, ჩერნიაევი, ფარტუჩინი (ლენინგრადი) და სოროკინი (მოსკოვი).

თბილისელი მოკრივეებიდან შეჯიბრება მშვენივრად ჩაატარეს კალაძემ, კვინიხიძემ, დვალმა და ლუდუშაურმა. აღსანიშნავია აგრეთვე ახალგაზრდა მისაკიანი, რომელიც მესამე ადგილზე გამოვიდა. კალაძემ დიდი წინააღმდეგობა გაუწია კრივის დამსახურებულ ოსტატს სეგალოვიჩს. პირველ ადგილზე გამოსვლის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა თბილისის უმჩატესი წონის გორგასლიძეს. მან ადვილად მოიგო პირველი ორი შეხვედრა, მაგრამ უკანასკნელ დღეს, ფინალურ შეჯიბრებაში გასვლისას გადააჭარბა თავისი წონის კატეგორიის საზღვარს და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

გუნდური პირველობა ლენინგრადელმა მოკრივეებმა მოიპოვეს (19 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი (22 ქულა), მესამეზე — მოსკოვისა (23 ქულა), ხოლო უკანასკნელი ორი ადგილი დაიკავეს ხარკოვის პირველმა და მეორე გუნდებმა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

2/IV წარმოდგენა 153	3/IV წარმოდგენა 154	4/IV წარმოდგენა 155
არსენა	თოფიანი კაცი	სულელი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

2/IV	კოლმეურნის ქორწინება
3/IV	მათი ამბავი
4/IV	პრემიერა დები ქერარ

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

2/IV	3/IV	4/IV
მუდმ. ადგ. ტალ. № 135 აბ. სერ. № 7	მუდმ. ადგ. ტალ. № 136	მუდმ. ადგ. ტალ. № 137 აბ. სერ. № 2
კარმენ	ქეთო და კოტე	პიკის ქალი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახცირკი, ტელ. 3-11-44 დღეს
განახლებული პროგრამა 3 განყოფილებად.
ორი ატრაქციონი ერთ საღამოს
ატრაქციონი მსახიობი ზემენჩოვები კაროსელი ჰაერში ║ ატრაქციონი რუსული „ტროიკა" ჯგუფი
მსახიობებისა ოკეანოს და სხვ ნომრები დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
სალარო დღის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

თბილისის სახმედინსტიტუტი
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 24 აპრილს, დღის 12 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის, 16) შესდგება საჯარო პაექრობა; მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ ლაზარეს-ძე ტურიაშვილი დაიცავს დისერტაციას მედიცინის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „კურდღლის თვალებში საკვერცხეების აუტოტრანსპლანტაცია ორსულობის ამოსაცნობად".
ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ღამბარაშვილი, პროფ. საყვარელიძე და პროფ. ლოლობერიძე.
მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
565 დირექცია.

თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი აცხადებს,
რომ 1938 წელში კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 30 ივნისამდე. გამოცდები იწარმოებს:
1. ძველი ქვეყნების ისტორიაში (რომი და საბერძნეთი)
2. სსრკ ხალხების ისტორიაში
3. საქართველოს ისტორიაში
4. დასავლეთ ევროპის საშ. საუკ. ისტორიაში
5. დას. ევროპის ახალ ისტორიაში.
სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებისათვის იწარმოებს რეგისტრაცია ფაკულტეტის მდივანთან 1 აპრილიდან 30 აპრილამდე.
თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკ. დეკანატი.
80

თბილისის ც/ტელეგრაფის დირექცია
იღებს მოწაფეებს ტელეგრაფისტების მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებზე შემდეგი სპეციალობით:
1. ბოდო გადამცემების
2. „ მიმღებების
3. „ კონტროლიორების
4. ტრემლისტების.
კურსებზე დაიშვებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები. მიღებულებს მიეცემათ სტიპენდია 90 მანეთი, კურსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხებიან შტატში.
მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. პასპორტი, 2. განათლების მოწმობა, 3. მეტრიკული ამონაწერი, 4. ორი ფოტო-სურათი.
განცხადებების მიღება სწარმოებს 10-დან 3 საათამდე ტელეგრაფის კადრების განყოფილებაში.
სამხედრო ქუჩა № 4, მე-3 სართული.
110 დირექცია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 9 თებერვლის № 183 დადგენილების თანახმად საქ. სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს განყოფილება
„მინწყლები" რეორგანიზებულია
საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარი საკურორტო სამმართველოს მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტად
„საქმინწყლები"
საანგარიშსწორებო ანგარიში № 150809 სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში.
მისამართი: თბილისი, პუშკინის ქ. № 3, ტელ. № 3-67-07
ტრესტი „საქმინწყლები".
1004

კომპ. ია კარგარეთელი

გუშინ, დილით, თბილისში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მხცოვანი მუსიკალური მოღვაწე, კომპოზიტორი და პედაგოგი ია კარგარეთელი.

საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოჰყო დამკრძალავი კომისია — პ. კანდელაკის (თავმჯდომარე), კომპ. ი. გოკიელისა და გრ. კოკელაძის, ბახტაძის, ა. წუწუნავას, ა. ვასაძის და შ. ღამბაშიძის შემადგენლობით.

სასამართლო

მომხმარებლის მოტყუებისათვის

თავდაცვის ავიაქიმის ქუჩაზე მდებარე „რაიტრანსტორგპიტის" პურის სავაჭრო მაღაზიაში № 187 დიდხანს მუშაობდნენ შეთანხმებულად მაღაზიის გამგე ივანე სახას-ძე აროშვილი და გამყიდველი ნიკოლოზ იოსების-ძე ვანიშვილი.

ამ „რაინდებმა" გადასწყვიტეს მომხმარებელთა წონაში მოტყუების ხარჯზე თავისი ჯიბის გასქელება და ამ მიზნით სასწორის იმ პინას, რომელზედაც პური იწონებოდა, ქვევიდან პურის ცომით ამოაკრეს 175 გრამიანი რკინის ნაჭერი. ამგვარად ისინი მომხმარებლებს წონაში სისტემატიურად აკლებდნენ 175 გრამ პურს, რაც დიდხანს შეუმჩნეველი რჩებოდა.

მაგრამ 1938 წლის დასასრულს ლენინის რაიონის შინავაჭრობის განყოფილებამ მოაწყო რეიდი და აროშვილისა და ვანიშვილის თაღლითობასაც საზღვარი დაედო.

აროშვილი და ვანიშვილი მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მათი საქმე საჩვენებელი პროცესით გაარჩია ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ და თვითეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით აჰყარა სამოქალაქო უფლებები.

მ. ხურგულაძე

რადიო დღეს

11.00—თბილისის ახალი ამბები, 11.20—კონცერტი, 11.55—ინფორმაციები, 12.15—„უკანასკნელ ცნობათა" დღის გამოშვება, 17.05—კლასიკური მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 17.40—ინფორმაციები, 17.50—„გოგოლი" გადაცემა მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე. 18.15—„უკანასკნელი ცნობები" ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 19.00—ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 19.30—საუბარი თემაზე „სასოფლო-სამეურნეო გამოფენა". 20.00—ოპერა „კარმენის" ტრანსლაცია, 23.40—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება ქართულ ენაზე, 24.00—საცეკვაო მუსიკა, 00.30—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვების ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ექიმთა საზოგადოებაში

3 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დანიშნულია საქ. ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების პლენარული სხდომა.

მოხსენებებით გამოვლენ: პროფ. ქ. დ. ერისთავი თემაზე: „ინფიცირებულ ჭრილობათა და სიდამწვრის ვიტამინებით მკურნალობის საკითხისათვის" და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ქ. ხ. დიხამინჯია—„თრომბოფლებიტების ჰირუდინოზირებით (წურბელით) მკურნალობის საკითხისათვის".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

2 აპრილს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. ნუცუბიძის ლექციას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1544007, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ვარლამ კონსტანტინეს-ძე ბუხულეიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი, სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ვაჟთა გონორეა.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 ს. საღ. 6—9 ს. გრიბოედოვის ქ. № 20. მე-4 შესავალი, მე-2 სართული, ბინა № 57.
10—7 22468

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება 6-დან 8 საათამდე. ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის), № 5.
5—1 1268

დამწუხრებულნი: დედა დარია, ძმა იოსებ, დები: თამარ, მარო, რძლები: თამარ, ევა შვილებით იუწყებიან საყვარელ
მიხეილ ამირიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. ხიდისთავის, 15. 1330

მეუღლე გუგული შვილებით, დები: ვერა, მარიამ, ძმები: ლაზარე, სიმონ, რძალი ტალია იუწყებიან ძვირფას
შოთა სამსონის-ძე ყაზაიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან. 1333

დამწუხრებული მეუღლე დესპინე, შვილები: კატუშა, მარო, დათიკო, ვალიკო, შვილიშვილები: ლეილა, ნაზული, ძმისწული ანეტა იუწყებიან
სპირიდონ გიგოს-ძე მაჭარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში ივანდიდის სასაფლაოზე 4/IV. 1334

მეუღლე ბელაგია, შვილები: სონია და თედო მწუხარებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი
ივანე სტეფანეს-ძე ფცქიალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. სურამში 2 აპრილს. 1335

უახლოესი მეგობრები: პეპელა წერეთელი, მურა ნადარეიშვილი, არუსია კარშამოვა, ნინო აბულაძე, პეპელა კაპანაძე იუწყებიან თამარ წერეთლის მამის
იოსებ ნიკოლოზის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. 1331

მეუღლე მათე, შვილები: აპოლონი, ანატოლი, ეპრასი, მილიცა (შერი), რძალი სონა, შვილიშვილები იუწყებიან საყვარელ
ნინო ლეჟავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IV. დიდი-ჯიხაიშში. 1332

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო - სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ. მგ. მორიგის — —3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 1729